საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 19 | შაბათი, 29 დეკემბერი, 1990 | ფასი 3 კაპიკი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

28 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომაზე გაგრძელდა მის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა განხილვა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრად უზენაესმა საბჭომ დანიშნა ევტიხი ბენდელიანი.

შემდეგ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონპროექტის გამო გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი თეიმურაზ ქორიძე.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტი გამოქვეყნდეს პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები, როგორც წესი, წყვეტენ თავიანთ სამსახურებრივ თუ საწარმოო საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით წინა დღეს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლები განმარტა უზენაესი საბჭოს მუდმივი სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ. მანვე წარმოადგინა იმ დეპუტატების სია, რომლებმაც განაცხადეს სურვილი არ შეწყვიტონ თავიანთი სამსახურებრივი თუ საწარმოო საქმიანობა და ამავე დროს დარჩნენ უზენაესი საბჭოს წევრებად.

ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, გიორგი გულბანი და სხვები, სესიამ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა განიხილოს ამის გამო შემოსული ყოველი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სესიამ განიხილა დებულებანი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო ჰიმნის შესახებ, რომელიც წარმოადგინა დეპუტატმა დავით კუპრეიშვილმა. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, არჩილ მინდიაშვილი, როინ მეტრეველი და სხვები, უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ მოლოდინაშვილის წარდგინებით შეტანილია ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის შრომის შესახებ კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გამოხმობის წესის შესახებ კანონპროექტის გამო ინფორმაცია გააკეთა დეპუტატმა გიორგი გულბანმა. ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს დეპუტატებმა ეთერ გუგუშვილმა, მინდია სალუქვაძემ და სხვებმა. ეს კანონპროექტი მიღებულია პირველი წაკითხვით.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია. მან თქვა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უაღრესად რთული და დაძაბული ვითარება და დასვა საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე იმ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შემდგომი არსებობის დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ახდენენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაციას, საფრთხეს უქმნიან მოქალაქეთა სიცოცხლეს.

სესიის განსახილველად გამოტანილი იყო უზენაესი საბჭოს შესაბამისი დადგენილების პროექტი. მის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: დავით ბერძენიშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ავთანდილ ცოპიაშვილი, ანზორ საკანდელიძე, ნოდარ ნათაძე, მანანა ძოძუაშვილი, აკაკი ბობოხიძე, გიორგი ხავთასი, თედო ნინიძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი და სხვები.

სესიამ მიიღო დადგენილება კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა აკრძალვის შესახებ. ინგუში ხალხის ძმური სალამი საქართველოს პარლამენტს, მთელ ქართველ ხალხს გადასცა სესიაზე გამოსულმა ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, დემოკრატიული პარტიის „ნიისხო“ (სამართლიანობა) თავმჯდომარემ ისა კოძოევმა, ილაპარაკა რა ქართველი და ინგუში ხალხების ტრადიციულ მეგობრობაზე მან გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელ პირობებში, ორი ხალხის მიერ ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე ეს კავშირურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება.

ეს აზრი განავრცო დეპუტატმა ვალტერ შურღაიამ, რომელმაც ილაპარაკა ისა კოძოევის რთულ ბედზე, ცნობილი ინგუში სამართალდამცველის ქართველ მეგობრებსა და თანამებრძოლებზე.

პრინციპული სჯა-ბაასი სესიაზე გაიმართა იმის შესახებ, რომ ახლა, იმ პირობებში, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მუდმივმოქმედი ორგანოა, გაიზარდა მისი აპარატი, როცა უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები დასაქმებული არიან ყოველდღიური მუშაობით, ალიძრა მათი საქმიანობის სათანადო პირობების შექმნის საკითხი, ამასთან დაკავშირებით საჭიროა მთავრობის სახლის შენობა მთლიანად გადაეცეს რესპუბლიკის პარლამენტს. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ალიძვრება საკითხი ჯერჯერობით აქ მყოფი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ზოგიერთი სამინისტროსათვის შენობის გამოძებნის შესახებ. შექმნილ სიტუაციაში, დეპუტატთა უმრავლესობის აზრით, ოპტიმალურად წარმოგვიდგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის გადაცემა რესპუბლიკის მთავრობისა და ამ სამინისტროებისათვის.

საქართველოს კომპარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება ამ საკითხზე წაიკითხა დეპუტატმა თამაზ ჯანელიძემ. განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: დავით კუპრეიშვილი, რომან გოცირიძე, გიორგი ხავთასი, გივი თალაკვაძე, ავთანდილ იმნაძე, სერგო რიგვავა, ლევარდ ტუხაშვილი, გივი თაქთაქიშვილი. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება უახლოეს დღეებში.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“
(საქინფორმი)

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ევტიხი შალვას ძე ბენდელიანი საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

ევტიხი შალვას ძე ბენდელიანი

დაიბადა 1951 წელს ლენტეხის რაიონის სოფ. ხელედში. 1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1968-1974 წლებში სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში მუშაობდა. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1986 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1980-1988 წლებში იყო „სამტრედიის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელი, ზესტაფონის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, ლენტეხის რაიონის პროკურორი.

1989-1990 წლებში მუშაობდა „საქქალაქმშენსახპროექტის“ იურისკონსულტად, საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის კონსულტანტად, წამყვან სპეციალისტად.

1990 წლის ნოემბრიდან დღემდე ხონის რაიონის პროკურორის თანაშემწე იყო.

ჰყავს ცოლი და სამი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ო. გ. პარძელაშვილის მოხსენება

პატივცემულო დეპუტატებო!

ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, რომ რესპუბლიკის მთავრობას უზენაესი საბჭოს განსახილველად მრავალი ათეული წლის მანძილზე პირველად შემოაქვს არა დირექტიული სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომელიც ყოველთვის ექვემდებარებოდა დაკანონებას, არამედ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ შევეცადოთ გვეპასუხა საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებზე, შეგვექმნა პირობები სამეურნეო ინიციატივისა და თავისუფალი მეწარმეობისათვის, არამედ იმიტომაც, რომ 1991 წლის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფორმირება საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა იმ მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელმაც მოიცვა საბჭოთა კავშირის ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ინსტიტუტი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენში თვით სიტყვა „გეგმამ“ უკანასკნელ ხანს ოდიოზური ჟღერადობა შეიძინა. და არა იმიტომ, თითქოს ამ სიტყვის შინაარსი რაღაც არაბუნებრივი და საძრახისი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ისეთ ზესახელმწიფოში, როგორიც სსრ კავშირია, გეგმის საშუალებით მოინდომეს ერთი პულტიდან ყველაფრის მართვა, რაც შეუძლებელია, ეს დაადასტურა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის არაეფექტიანობამ.

ამის გამო დირექტიული, ვოლუნტარისტული დაგეგმვის საბაზრო ურთიერთობებით შეცვლა, რაც ე. წ. რადიკალური სამეურნეო რეფორმის მიზნად იქნა მიჩნეული, სავსებით გამართლებული ამოცანა იყო. მაგრამ ყბადაღებული გარდაქმნის წლებში საწარმოსა და კოოპერაციის შესახებ კანონების, სხვა გაუაზრებელი სიახლეების უსისტემო შემოღებით, ტოტალური დეფიციტის პირობებში საბითუმო ვაჭრობის დანერგვის, ფულადი შემოსავლისა და ფასების უკონტროლო ზრდის, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ვალუტის დისკრედიტაციის მეოხებით იმდენი შეცდომა დაგროვდა, რომ უზარმაზარი ქვეყნის ზეცენტრალიზებული ეკონომიკა, რომელიც ადრე მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ერთბაშად მოიშალა და საბაზრო მექანიზმი კი ჯერ კიდევ არ ჩანს.

ასეთ პირობებში ჩვენი მუშაობის ამოსავალი იყო მოსახლეობის და საწარმოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც დაბალანსებულია რეალურად არსებული საწარმოო სიმძლავრეებით. ეს რეალური მხარეები იძულებული ვიყავით დაგვეკავშირებინა დღეისათვის ისეთ მერყევ ფაქტორებთან, როგორიცაა ფასები, ფინანსები, რესურსები, მათ შორის ცენტრალიზებულად გასანაწილებელიც კი და განსაკუთრებით განაწილების გარეშე დარჩენილი რესურსები, რომელთა შეძენა საერთოდ ძნელია, მით უმეტეს მყარ ფასებში. ბევრ ჩვენს მიზანდასახულობას პრობლემატურად ხდის აგრეთვე არასაიმედო სათბობ-ენერგეტიკული ბაზა.

ერთი სიტყვით, ჩვენ გავაკეთეთ ისეთი პროგნოზი, რომლის საფუძვლად ნაწილობრივ აღებულია მერყევი, მაგრამ მაინც ისეთი ფაქტორები, რომლებიც თანმიმდევრული ბრძოლითა და მუშაობით შეიძლება რეალურად იქცნენ და იმგვარი საბოლოო შედეგი მივიღოთ, როგორიც ხალხსა და ეკონომიკას სჭირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ თუ მატერიალური, სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით სავარაუდო საწარმოო პროგრამების დაბალანსებას მივაღწევთ, 1991 წლისათვის რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი განისაზღვრება 21,4 მილიარდი მანეთით, ეროვნული შემოსავალი კი 9,3 მილიარდი მანეთის მოცულობით, რაც წლევანდელი მოსალოდნელი დონის მიმართ 100,9 და 100,5 პროცენტს შეადგენს. დინამიზმისკენ ჩვენი ეკონომიკის შემობრუნების შესაძლებლობას უფრო შესამჩნევად გამოხატავს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ეკონომიკური ზრდის ისეთი მთავარი პარამეტრი, როგორიცაა მთლიანი ეროვნული პროდუქტი, რომლის საპროგნოზო თანხაც 11,5 მილიარდ მანეთს მიაღწევს, რაც წლევანდელ დონეზე 2,5 პროცენტით მეტია, და ეს მაშინ, როცა სსრ კავშირში ნავარაუდევია ამ მაჩვენებლის შემცირება (99 პროცენტი). ამასთან სავარაუდოა, რომ მცირედ (1 პროცენტით), მაგრამ მაინც გაიზრდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, თითქმის შეჩერდება ფონდუკუგების დაქვეითების ტენდენცია (99,7 პროცენტი).

როცა აღნიშნულ მაჩვენებლებს ვაანალიზებთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მათი დადებითი დინამიკა მიიღწევა წლევანდელი წლის მოსალოდნელი შედეგების მიმართ, რომლებიც გაცილებით ჩამორჩება ეკონომიკის პოტენციურ შესაძლებლობათა სრულად ამსახავ და ადრე მიღწეულ დონეებს.

აღნიშნული პოტენციალის სრულ გამოყენებას აფერხებს ის, რომ ჯერჯერობით დიდი სიძნელეები და გაურკვევლობებია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში. მართალია, სსრ კავშირის მთავრობა ფიქრობს მომავალი წლისათვის ცემენტის, ხე-ტყის, შავი ლითონის, ნედლეულისა და მასალების სხვა სახეობებით მოვაჭრე რეგიონული ცენტრების, სავაჭრო სახლებისა და სასაქონლო ბირჟების ორგანიზაციას, მაგრამ მათი ეფექტიანობა, თუ შექმნილ ვითარებას გავითვალისწინებთ, მეტად საეჭვოა. რაც შეეხება პირდაპირ კავშირებს, სტატსახკომის მონაცემებით ამ თვის დამდეგისათვის ხელშეკრულებები რესპუბლიკისათვის მოსაწოდებელი პროდუქციის მხოლოდ მესამედზე იყო გაფორმებული, რაც შარშანდელ საკმაოდ მძიმე წლის მაჩვენებელზე თითქმის ორჯერ ნაკლებია.

ამავე დროს აგროსამრეწველო კომპლექსის გარდა ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსებით უზრუნველყოფის დონე წინა წლებთან შედარებით გაცილებით დაბალია. კერძოდ, 1991 წ. შავი ლითონების ნაგლინზე მოთხოვნილება შეადგენს 417 ათას ტონას, გამოყოფილი ფონდები კი — 227 ათას ტონას, ე. ი. უზრუნველყოფის დონე წლევანდელი 71 პროცენტიდან 55 პროცენტამდე ეცემა. ცემენტი გამოყოფილია 807,4 ათასი ტონა, რაც მოთხოვნილების 45 პროცენტია წლევანდელი 52-ის ნაცვლად. საავტომობილო ბენზინის ფონდი 280 ათასი ტონაა, ეს კი მოთხოვნილების 41 პროცენტს შეადგენს 1990 წლის 48-ის ნაცვლად. ანალოგიური მდგომარეობაა ფერადი ლითონების, ფოლადის მილების, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულისა და სხვათა მიმართ. რაც შეეხება ხე-ტყეს, ჯერჯერობით მისი გამოყოფის საკითხი არ გადაწყვეტილა, ხოლო ტექნიკის უმრავლესი სახეობანი ცენტრალიზებულად საერთოდ არ იქნება განაწილებული.

დიდი სიძნელეების წინაშე გვაყენებს სსრ კავშირის სავალუტო ბალანსის დეფიციტურობა და ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობები ამ სფეროში. დასახული ეკონომიკური და სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად გვისად იმპორტით საქართველოში შემოსატანია 1,2 მილიონი ტონა მარცვლეული, 30 ათასი ტონა საკუპაჟე ჩაი, 95 მილიონი მანეთის სურსათი, 350 მილიონი მანეთის მატყლი, აბრეშუმის, შალის, ბამბეულის, სელის ქსოვილები, და სხვა. 800 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი ვაჭრობისათვის და ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის.

ეკონომიკური კრიზისის ამგვარი გამწვავების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სხვა უწყებებთან ერთად განაგრძობს მუშაობას საკავშირო ორგანოებთან შექმნილ ვითარებაში კიდევ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესახებ დადებულ შეთანხმებათა რეალიზაცია მათი საწარმოთა დონეზე დაყვანის გზით. თავის მხრივ, საწარმოებმა და გაერთიანებებმა უნდა გააძლიერონ სამეურნეო და კომერციული საქმიანობა მათთვის ხელსაყრელი საწარმოო კავშირების დამყარებისა და გაფართოება-შენარჩუნებისათვის და სამეურნეო წლის განმავლობაში მიაღწიონ თავიანთი პროგრამების მატერიალურ დაბალანსებას. მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ცენტრალიზებული ფონდებიდან და სხვა რესპუბლიკებიდან რესურსების მიღება განხორციელდება ურთიერთმიწოდებების საფუძველზე. ამის პასუხად აუცილებელია 1991 წლისათვის სამეურნეო საქმიანობის ლიბერალიზაციის მეტად ფართო მასშტაბებთან ერთად კვლავ შევინარჩუნოთ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების მექანიზმი, რაც ამჯერად საბჭოთა კავშირის და სხვა რესპუბლიკების მთავრობებთან დროებითი ეკონომიკური ხელშეკრულებით უნდა განხორციელდეს.

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების უმრავლესობა სათანადო ბრძოლით შეიძლება გადაიჭრას.

გაცილებით უფრო პრობლემატურია მომავალი წლის საინვესტიციო პროგრამისა და შესაბამისად ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მწვავე საკითხების ბედი, განსაკუთრებით კი სოციალურ სფეროში. კარგად მოგეხსენებათ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ საფინანსო ტვირთის უდიდესი ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებს გადააკისრა. შექმნილ ვითარებაში რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დასახა ღონისძიებები თითქმის 5 მილიარდიანი საბიუჯეტო დეფიციტის შესავსებად, რაც, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია არაპოპულარულ ღონისძიებებთან.

მიუხედავად ამისა, როგორც წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდან ჩანს, მომავალი წლისათვის ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად ნავარაუდევია გამოიყოს მხოლოდ 700 მილიონი მანეთი, რაც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის გაძვირებასთან დაკავშირებით წლევანდელთან შედარებით თითქმის 3,5-ჯერ ნაკლებ სამუშაოთა შესრულებას უზრუნველყოფს, მარტო გარდამავალი ობიექტების მშენებლობას კი (როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროებში) 2 მილიარდ მანეთამდე სჭირდება. გამოსავლის ძიებაში ჩვენ მრავალ ვარიანტს მივმართეთ, მათგან შედარებით რეალური ჩანს საბინაო მშენებლობის დაფინანსების სტრუქტურის კარდინალური შეცვლა მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მკვეთრი გაფართოების ხარჯზე, მაგრამ სოციალური სფეროს მთელი რიგი საარსებო დარგების განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, თუ კომუნალური მეურნეობის ქსელის განვითარებისა თუ ობიექტების მშენებლობას, ცხადია, მოსახლეობას ვერ გადავაკისრებთ. აღნიშნულის გათვალისწინებით და საგანგებოდ ზოგიერთ საარსებოდ მნიშვნელოვანი მხოლოდ გარდამავალი სოციალური და საწარმოო ობიექტების მშენებლობის გაგრძელებისა და დამთავრებისათვის საჭიროა დამატებით გამონახოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 1080 მილიონი მანეთი ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების გამოყოფის შესაძლებლობა.

ამ პირობებში საშუალება გვექნება განვახორციელოთ სოციალურ-კულტურული მშენებლობის შემდეგი ღონისძიებები:

1991 წლისათვის დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 1474 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები უნდა აშენდეს, მათ შორის 250 ათასი კვ. მეტრი კოოპერაციული ბინათმშენებლობის, ხოლო 660 ათასი კვ. მეტრი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ხარჯზე. იმის გამო, რომ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებით დაწყებული სახლების მშენებლობის დამთავრებას 160 მილიონი მანეთი სჭირდება, ხოლო გათვალისწინებული სახსრები მხოლოდ ამ თანხის ნახევარს შეადგენს, განზრახულია დაწყებული სახლების ნაწილის მშენებლობა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯზე დამთავრდეს, დანარჩენი კი მიეყიდოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებსა და ამხანაგობებს. კომუნალური მეურნეობისათვის განკუთვნილი სახსრები განსაზღვრულია 125,5 მილიონი მანეთის, ხოლო ბუნებადაცვითი ღონისძიებებისათვის — 57,5 მილიონი მანეთის ოდენობით.

1991 წლისათვის დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ნავარაუდევია აშენდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 39400 ბავშვისათვის, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებანი 8700 ბავშვისათვის, საავადმყოფოები 1300 ავადმყოფისათვის და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი 2300 პაციენტისთვის.

ძალზე მძიმე ვითარება ყალიბდება საწარმოო მშენებლობის სფეროში, სადაც ინვესტიციის უდიდესი ნაწილი ტრადიციულად სსრ კავშირის სამინისტროებზე უნდა მოდიოდეს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გარდამავალი პერიოდის გამოცხადებაზე და მოკავშირეო ხელშეკრულების უარყოფაზე ცენტრის რეაქცია ეკონომიკის ამ სფეროში ჯერჯერობით ყველაზე ნათლად გამოიკვეთა. კერძოდ, საკავშირო ორგანოების მიერ 1991 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმიდან განზრახულია ამოღებულ იქნეს ადრე შეთანხმებული მრავალი ობიექტი. მათ შორის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქცია, თბილისის სრესის მე-10 ენერგობლოკის და ერთჯერადი შპრიცების ქარხნის მშენებლობა, სტიქიური უბედურების ობიექტები 25 მილიონი მანეთის ღირებულებით და სხვა.

ცხადია, ამგვარ რეპრესიულ სანქციებს ჩვენ გულხელდაკრეფილი არ უნდა შევხვდეთ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო საწარმოების დაბალ ტექნიკურ-ეკონომიკურ დონესა და სუსტ სოციალურ ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებლები უპირველეს ყოვლისა თვით სსრ კავშირის სამინისტროები არიან, რომლებიც მათი განვითარებისათვის იღებდნენ და ჯერ კიდევ იღებენ ცენტრალიზებულ სახსრებს, რაშიც ჩვენ ჩვენი წილი გვქონდა და გვაქვს.

-სწორედ საკავშირო შესაბამისი სამინისტროა დამნაშავე იმაში, რომ საქართველოს ენერგეტიკას ბაზური სიმძლავრის დიდი დეფიციტი აქვს.

1991 წელს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მოხმარება პროგნოზით 18 მილიარდი კილოვატსაათით, ხოლო წარმოების სავარაუდო შესაძლებლობები 17,7 მილიარდი კილოვატსაათით განისაზღვრება. დაუფარავი მოთხოვნა 260 მილიონ კილოვატსაათს, საექსპორტო ვალდებულებათა გათვალისწინებით კი 860 მილიონ კილოვატსაათს აღწევს, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა დეფიციტი და არახელსაყრელი სტრუქტურა ბევრად არის განპირობებული იმ მცდარი პოლიტიკით, რომელსაც საკავშირო ორგანოები ახორციელებდნენ ამ სფეროში. ამიტომ სავსებით გამართლებულად კატეგორიულად მოვითხოვთ იმავე ორგანოებისაგან დეფიციტური ელექტროენერგიის მოწოდების უზრუნველყოფასთან ერთად, თბილისის სრესის მე-10 ენერგობლოკის, ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებებს.

საგანგებოდ გათვალისწინებულია სხვა რესპუბლიკებთან ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების შემდგომი განმტკიცება. კერძოდ, სამრეწველო გადამუშავებისათვის გათვალისწინებულია 11 ათასი ტონა რძის ფხვნილის, 2,5 ათასი ტონა კარაქის, 50 ათასი ტონა იმპორტული შაქრის ნედლეულის და სხვა პროდუქციის შემოტანა. ამასთან, რესპუბლიკა საკავშირო მომხმარებელს მიაწოდებს 550 მილიონ პირობით ქილა ხილბოსტნეულის კონსერვებს, 130 ათას ტონა დაფასოებულ ჩაის, 10 მილიონ დეკალიტრ ყურძნის ღვინოს, 150 მილიონ ბოთლ მინერალურ წყალს და სხვა პროდუქციას.

აგროსამრეწველო კომპლექსისათვის 1991 წელს ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა პრაქტიკულად მიმდინარე წლის დონეზეა გათვალისწინებული, ამიტომ მისი როგორც საწარმოო, ისე სამშენებლო პროგრამების შესრულება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით გაცილებით რეალურია, თუმცა აქაც კომბინირებული საკვების გამომუშავებისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის — საფურაჟე მარცვლეულის გამოყოფა გათვალისწინებულია 474 ათასი ტონის ოდენობით, რაც 1990 წლისათვის გამოყოფილი ფონდის 79 პროცენტია. ამჟამად უკრაინასთან და ყაზახეთთან მიმდინარეობს მუშაობა საფურაჟე მარცვლეულის რესურსების 600 ათას ტონამდე შევსების მიზნით.

გაცილებით რთული მდგომარეობაა სატრანსპორტო კომპლექსში, სადაც გასად სახალხო მეურნეობის უწყვეტი ფუნქციონირების მიზნით გათვალისწინებულია ტვირთზიდვის და მგზავრთა გადაყვანის გარკვეული ზრდა სარკინიგზო, საზღვაო, საავიაციო და საავტომობილო ტრანსპორტით. თუკი ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობა გვექნება, უნდა გაფართოვდეს საავტომობილო გზების ქსელის შემდგომი განვითარების სამუშაოები. თუმცა ძალზე მძიმე მდგომარეობაა საგზაო-სამშენებლო ტექნიკით რესპუბლიკის მომარაგების საქმეში. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის გაგრძელებას და უფრო ეფექტიან მუშაობას. მძიმე მდგომარეობა იქმნება აგრეთვე საავტომობილო ტვირთზიდვის, განსაკუთრებით მგზავრთა გადაყვანის სფეროში. კერძოდ, ცენტრალიზებულად გამოყოფილი ავტობუსების რაოდენობა შეადგენს პარკის შესავსებად საჭირო მოთხოვნილებას მხოლოდ 45 პროცენტს, ტაქსებისა კი 59-ს. ამ პრობლემების დასაძლევადაც არ არის გამორიცხული არაპოპულარული ღონისძიებების აუცილებლობა.

მატერიალური წარმოების დარგთა განვითარების ზემოხსენებული სავარაუდო მასშტაბების შესაბამისად განისაზღვრა 1991 წლისათვის სოციალური სფეროს განვითარების პროგრამა. ნავარაუდევია, რომ გამოყენებული ეროვნული შემოსავლის 9 მეათედი უნდა წარიმართოს უშუალოდ მოხმარებასა და არასაწარმოო მშენებლობაზე. საპროგნოზო გაანგარიშებით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების განმაზოგადებელი მაჩვენებლის —

(დასასრული 2-ე გვ.).

იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონს

თქვენო უმაღლესობავ!

დიდ მადლობას გიძღვნით მოლოცვისათვის საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი არჩევის გამო.

დღეს საქართველოში იწყება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი კვლავაც გმირულად იბრძოლებს თავისუფლებისათვის, ვითარცა ეს ეკადრება ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეულ შთამომავალთ.

ვფიქრობ, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც თქვენი უმაღლესობა სამშობლოში ჩამობრძანდება და პირადად მოგვეცემა თქვენი გაცნობის შესაძლებლობა.

გულწრფელი პატივისცემით

ზვიად გამსახურდია.

რეგისტრირებულია გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაეთანხმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადებას და ბეჭდვითი სიტყვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის თანამშრომელთა აზრის თანახმად, რეგისტრაციაში გაატარა გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი.

სს „საქართველო“-საქინფორმი.

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალსა და ჯავის რაიონში

27 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სანქციის საფუძველზე ქალაქ ცხინვალში დააკავეს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ალიხან ფუხაევი. ამის პასუხად, დაახლოებით 16 საათზე ყოფილი შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობის წინ შეიკრიბა 2 ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე, რომლებიც მოითხოვენ ა. ფუხაევის განთავისუფლებას.

აგრესიულად განწყობილ პირთა ჯგუფმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მძევლად წაიყვანა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები: პრესცენტრის უფროსი ვლადიმერ გოგოლაშვილი, საქართველოს მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ბადრი შოხაძე, მილიციის პოდპოლკოვნიკი დავით რაფავა, მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები თემურ თუშიშვილი, გია ლეჟავა და დუშეთის მილიციის რაიგანყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი, რომლებიც ოთხი საათის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული.

სსრ კავშირის შინაგანი ჯარების მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ აღნიშნულ ადგილზე, არ მიუღიათ არავითარი ზომები ამ უკანონობის აღსაკვეთად და მილიციის თანამშრომელთა დასაცავად. დაუდგენელმა პირებმა ინციდენტის ადგილიდან გაიტაცეს და გაძარცვეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამსახურებრივი ავტომანქანები. სამინისტროს ხელმძღვანელობისა და ცხინვალის კომენდანტის, მილიციის გენერალ-მაიორის გივი კვანტალიანის უშუალო ჩარევის შემდეგ მძევლები გაათავისუფლეს.

ვითარება უკვე სტაბილურია. დაბრუნებულია რამდენიმე ავტომანქანა, ამოღებულია ტაბელის იარაღი. აღნიშნული ფაქტების გამო ცხინვალის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

სს „საქართველო“-საქინფორმი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

— **ვაჟა ლორთქიფანიძე** — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველ მოადგილედ;

— **ავთანდილ წილოსანი** — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

სს „საქართველო“-საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ

(დასასრული)

რეალური შემოსავლის დასახული ზრდის მიღწევა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — 2,7 პროცენტით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის 48 პროცენტით მომატებით, ანუ 219 მანეთამდე, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შესაბამისად 10,9 პროცენტით და 194 მანეთამდე, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და ფასიანი მომსახურების სხვა დარგების სათანადო განვითარებით.

სოციალური სფეროს განვითარების პრობლემებიდან უმწვავესია სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაცია და მოსახლეობის ფულადი შემოსავლის რეგულირება. პროგნოზული ბალანსის შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავალი 1991 წელს 12,1 მილიარდი მანეთით განისაზღვრება, რაც 900 მილიონი მანეთით ანუ 8,1 პროცენტით აღემატება წლევანდელ მოსალოდნელ მაჩვენებელს. ამ შემოსავლის დასაბალანსებლად სავაჭრო საქონელბრუნვის მოცულობა 8,1 მილიარდი მანეთით განისაზღვრება, მაგრამ სასაქონლო რესურსების დეფიციტის პირობებში საქონელბრუნვის მოცულობა საბალანსო ანგარიშებში მიღებულია 7,6 მილიარდი მანეთის, ხოლო მიმოქცევაში გასაშვები ნაღდი ფულისა კი 500 მილიონი მანეთის ოდენობით, წლევანდელი მოსალოდნელი 1,1 მილიარდი მანეთისა და შარშანდელი 1,3 მილიარდი მანეთის ნაცვლად.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სავაჭრო ორგანიზაციათა წინადადებების შესაბამისად, საცალო საქონელბრუნვის სავარაუდო მოცულობა 7 მილიარდ მანეთს შეადგენს, თანაც სასაქონლო რესურსების საკითხი, განსაკუთრებით კი 700 მილიონი მანეთის იმპორტული საქონლისა გადაწყვეტილი არ არის. მდგომარეობას ისიც აუარესებს, რომ მსუბუქ მრეწველობასა და აგროსამრეწველო კომპლექსში რესურსების შეზღუდულობის გამო 1991 წლისათვის რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაც (ალკოჰოლიანი სასმელების გარდა) 4,2 პროცენტით ანუ დაახლოებით 300 მილიონი მანეთით ნაკლები იქნება წლევანდელ მოსალოდნელ დონეზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკავშირო ფონდიდან ნავარაუდევი რესპუბლიკისათვის 73 ათასი ტონა ხორცის, 1040 ათასი ტონა რძის, 50 ათასი ტონა კარტოფილის მოწოდება დაახლოებით წინა წლების დონეზეა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემებია რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარებაში. ამის გამო მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და ხარჯების გაწონასწორების მიზნით 1991 წლისათვის პირველადაა გათვალისწინებული მოსახლეობის მიერ უძრავი ქონების — სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, სხვა მცირე საწარმოების, ბინების, აქციებისა და ვალუტის შეძენის საორიენტაციო თანხები — სულ 660 მილიონი მანეთის მოცულობით.

მომავალი წლის სოციალურ პრობლემათაგან ჩვენთვის ჯერ არნახულ სიმწვავეს იძენს მოსახლეობის დასაქმების ამოცანა. სანამ საბოლოოდ არ განისაზღვრულა საწარმოო და სამშენებლო პროგრამები, ძნელია საბოლოოდ ითქვას მოსახლეობის იმ რაოდენობის შესახებ, რომელსაც უმუშევრობის გამო სოციალური დახმარება დაჭირდება. დღევანდელი გაანგარიშებით შრომითი რესურსების ბალანსში შეტანილია 85 ათასი კაცი, ანუ შრომითი რესურსების 2,6 პროცენტი, რომელიც საჭიროებს შრომით მოწყობას. მუშაკთა დასაქმებაში მოსალოდნელი სიძნელეების შესარბილებლად გადაუდებელ ამოცანად ისახება, ერთი მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაციის აუცილებლობა მცირე და საშუალო წარმოებათა შექმნის გზით, რომლებიც დაეფუძნება საკუთრების სახელმწიფო, კოლექტიურ და კერძო ფორმებს, და მეორე მხრივ, მშრომელთა ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების დროულ შემუშავებასა და განხორციელებას.

გასაგებია, რომ 1991 წელს საქართველოს ეკონომიკა ერთბაშად ვერ დააღწევს თავს შექმნილ კრიზისულ მოვლენებს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ეს მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის და ნაწილია იმ კრიზისისა, რომელმაც მოიცვა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიკა. ეს მოხდებოდა იმის მიუხედავად, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოვიდოდა რესპუბლიკის მართვის სათავეში. ამ შემთხვევაში კი არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული მოძრაობის ძალებს ის უპირატესობაც აქვთ, რომ ეკონომიკის მართვის საქმეში დაშვებული ძველი, ახალი და უახლესი შეცდომებისთვის ისინი არ არიან პასუხისმგებელი, და ამდენად გაცილებით უფრო გაბედულად დაადგებიან უახლესი აუცილებელი სოციალური გარდაქმნების გზას. ამის დამადასტურებელია პოლიტიკური ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ეკონომიკური პლატფორმა, რომელიც სახალხო მეურნეობის და სოციალური სფეროს მართვის ყველა პრინციპული მიმართულებით რადიკალური რეფორმების განხორციელებას გულისხმობს.

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გურამ აბსანძის მოხსენება

ბატონო თავმჯდომარევ!

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემოაქვს თქვენს განსახილველად რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შედგენილია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა-განმტკიცების ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის გათვალისწინებით. ბიუჯეტის პროექტის ფორმირება, წინა წლებთან შედარებით, ძირეულად განსხვავებულ, ურთულეს ვითარებაში მიმდინარეობდა.

რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, რესპუბლიკათშორისი და დარგთაშორისი კავშირების მოშლამ, რაც განპირობებულია ტოტალიტარული მართვის სისტემის ძალისხმევით, მნიშვნელოვნად გაართულა სახალხო მეურნეობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგება, შეაფერხა მუშაობა და გააუარესა მათი ფინანსური მდგომარეობა, გამწვავდა სამომხმარებლო ბაზრის პრობლემები, მნიშვნელოვანი შეფერხებებით მიმდინარეობს რესპუბლიკის მოსახლეობის სახალხო მოხმარების საქონლითა და სურსათით მომარაგება, იმატა ფულის გაუფასურების ტემპმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე.

ასეთ სიტუაციაში საქართველოს 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, რომელიც პირველად ყალიბდება ცენტრის ტოტალიტარული დიქტატისაგან დამოუკიდებლად, ეწყდება ხელოვნურად შექმნილ ურთულეს წინააღმდეგობებს. საკავშირო მთავრობამ მის მიერ ეკონომიკის უუნარო გაძღოლით გამოწვეული ფინანსური სიძნელეების აბსოლუტური უმეტესობა რესპუბლიკებს გადააკისრა. სახელდობრ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის შესასყიდი ფასების მომატებასთან დაკავშირებული ფასთა სხვაობების ანაზღაურება საკავშირო ბიუჯეტს აცილეს და რესპუბლიკის ბიუჯეტმა უნდა დაფაროს. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მნიშვნელოვან მომატებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამგვარმა და სხვა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაართულა რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეები და გაზარდა მომავალი წლის ბიუჯეტის დეფიციტი, რაც მოითხოვს არაორდინარული, განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებას, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობისა და რენტაბელობის დონის მკვეთრი ამაღლების, ზარალიანობის ლიკვიდაციის, ყველა სახის რესურსების გამოყენებაში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელების, არამწარმოებლური და უნაყოფო დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების ხარჯზე, რათა მყარი გახდეს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბიუჯეტის ხარჯების რაციონალური გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მომავალი წლის დამდეგიდან ამოქმედდება ახალი საბითუმო ფასები და ტარიფები. მნიშვნელოვნად იზრდება ნედლეულისა და მასალების ღირებულება, ანარიცხები სახელმწიფო სოციალურ დაზღვევაზე და წარმოების სხვა დანახარჯები. ყოველივე ეს ფასების მთლიანი სისტემის შესაბამისი ცვლილების გარეშე მნიშვნელოვნად ამცირებს ძირითად ფინანსურ წყაროებს — მოგებასა და ბრუნვის გადასახადს, ამის კვალობაზე ბიუჯეტში გადასახდელებსაც.

ერთი სიტყვით, საგაისო ბიუჯეტის პროექტში კატეგორიულად უარვყავით რთული ვითარების, ობიექტური სინამდვილის შელამაზების ის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც არცთუ ისე შორეულ წარსულში გაბატონებული იყო ეკონომიკურ აზროვნებაში და არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ერისთვის. ახალმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოში საბედნიეროდ მოგვიტანა უმთავრეს ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებზე პირუთვნელი, ღია მსჯელობის შესაძლებლობა და ჩვენც შევეცადეთ მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ეს შესაძლებლობა.

ამ პოზიციებიდან გამომდინარე, ნება მიბოძეთ, მოკლედ მოგახსენოთ იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში ძალზე მძიმე ფინანსური მდგომარეობაა, დაძაბულად მიმდინარეობს ბიუჯეტის შესრულება. წლების მანძილზე საფინანსო პრობლემების შეუფასებლობამ რესპუბლიკის მრავალი საწარმო და ორგანიზაცია სრულ გაკოტრებამდე მიიყვანა. ამის შედეგია ის, რომ სამრეწველო და სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოთა და გაერთიანებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ასრულებს მოგების გეგმებს, ხოლო მთლიანად რესპუბლიკაში მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში მოგების გეგმას 140 მილიონ მანეთზე მეტი დააკლდა.

ბევრმა საწარმომ, გაერთიანებამ და ორგანიზაციამ ვერ შეძლო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესრულება. მიმდინარე წლის 11 თვის შედეგების მიხედვით არ შესრულებულა ბრუნვის გადასახადისა და მოგების გადასახდელების დავალებები. მარტო ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულებას 65 მილიონი მანეთი, ხოლო მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელებისას 119,6 მილიონი მანეთი დააკლდა.

ამასთან წლის განმავლობაში დამატებითი ღონისძიებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის შესრულებამ 100,8 პროცენტი შეადგინა, რაც ძირითადად მიღწეულია შემოსავლის სხვა სახეობებში გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და ხარჯებში ეკონომიის შედეგად.

რესპუბლიკის ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში ვერ აიტანს საწარმოების ზარალიან მუშაობას, არადა, ამ საქმეში სერიოზული ჩავარდნები გვაქვს. რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში შემცირების ნაცვლად გაუგონრად იზრდება ზარალიან საწარმოთა რიცხვი.

რესპუბლიკაში არ მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა ზარალიანობის სალიკვიდაციოდ. დღეისათვის 550 საწარმო ზარალიანია, რომელთა ზარალის თანხა აღემატება 256 მილიონ მანეთს, მათ შორის 427 გეგმით რენტაბელურმა საწარმომ სახელმწიფოს აზარალა 225 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ ვერა და ვერ დააღწია თავი არამწარმოებლურ ხარჯებსა და რეალიზაციის გარეშე დანაკარგებს. მიმდინარე ხუთწლედში ხარჯებისა და დანაკარგების თანხამ 2,9 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

მარტო 9 თვეში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ მეურნეობებში არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების საერთო ოდენობამ 131 მილიონ მანეთს მიაღწია. წლიური შედეგების მიხედვით, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს დანაკარგები მკვეთრად გაიზრდება.

მინდა ერთ საგანგაშო ფაქტზე მოგახსენოთ. დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველო განიცდის მომჭირნე და კომერციული ჩვევების მქონე მეურნეების დეფიციტს. ამაზე მეტყველებს ის, რომ ბანკის სესხებისა და მომწოდებლების ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 1 დეკემბრისათვის 3,3 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაში ასეთმა განუკითხაობამ გამოიწვია საკუთარი საბრუნავი საშუალებების განიავება, რის გამოც დანაკლისმა 400 მილიონ მანეთს გადააჭარბა. აღნიშნულის გამო ბევრ საწარმოს უნარი აღარ შესწევს ნორმალურად წარმართოს სამეურნეო საქმიანობა.

ან ავიღოთ ასეთი ფაქტი: რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დანაშაულებრივად თვითდინებაზე აქვთ მიშვებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევისა და მათი ნორმატივამდე დაყვანის საქმე. ამ მარაგებმა 1 ოქტომბრისათვის 4 მილიარდ მანეთს მიაღწია, რაც წლის დასაწყისთან შედარებით 1,7 მილიარდი მანეთით არის გაზრდილი.

რა გამოდის, ერთი მხრივ, ჩვენი წარმოების ხელმძღვანელები ჩივიან, რომ არა აქვთ მატერიალური რესურსები საწარმოო პროგრამის შესასრულებლად. მეორე მხრივ, ბალანსზე თითქოს 4 მილიარდი მანეთის ზენორმატიული ნაშთები ერიცხებათ. დადგა დრო გავარკვიოთ, ფლობენ თუ არა საწარმოები ამ რესურსებს, ფასეულობათა დიდი ნაწილის არსებობა ფრიად საეჭვოა.

აი, ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობები, რომელთა ბაზაზედაც უნდა აგვეგო რესპუბლიკის მომავალი წლის ბიუჯეტი.

ფინანსთა სამინისტრომ რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უკანასკნელი 2 თვის მანძილზე ბიუჯეტის პროექტის რამდენიმე ვარიანტი შეადგინა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცენტრის დიქტატის შედეგად, როცა საკავშირო ბიუჯეტის მიერ გასაწევი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი — რესპუბლიკის ბიუჯეტს დაეკისრა, მისმა დეფიციტმა 5 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, ბიუჯეტის ასეთ პროექტს რესპუბლიკის მთავრობა ახალ პარლამენტს ვერ წარმოუდგენდა. საჭირო გახდა მინისტრთა საბჭოს შეემუშავებინა და თქვენს განსახილველად წარმოედგინა არაორდინარული, მაგრამ რეალური ღონისძიებები.

თქვენს წინაშე წარმოდგენილი მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯები 6.534 მილიონ მანეთს შეადგენს, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმას 54,2 პროცენტით აღემატება ბიუჯეტის შემოსავალი განისაზღვრა 5.524,7 მილიონი მანეთით, რაც მიმდინარე წლის გეგმაზე 1.266,6 მილიონი მანეთით მეტია. მიუხედავად ასეთი ზრდისა, ბიუჯეტის გასავლის შემოსავალზე გადამეტებამ თანხამ, ანუ დეფიციტმა, 1.009,3 მლ-ნი მანეთი შეადგინა.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით უარყოფილია ცენტრის მოთხოვნები საკავშირო ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვის შესახებ, სახელდობრ: არ გადაირიცხება ბრუნვის გადასახადის 30 პროცენტი, მოგებიდან გადასახადის 22 პროცენტი. საკავშირო ბიუჯეტი ასევე არ მიიღებს არავითარ შემოსავლებს არც ჯარიმებიდან, არც აუქციონებიდან, არც საბაჟო გადასახადებიდან და ა. შ., რაც ერთიანად 700 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ღვინო-არყის, ჩაისა და თამბაქოს პროდუქციაზე საცალო ფასების მოწესრიგებას. აღნიშნულის შედეგად ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო — ბრუნვის გადასახადი, განისაზღვრა 2.030 მილიონი მანეთით. ეს თანხა მთლიანად ჩაირიცხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლიდან) გადასახადი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1066 მილიონი მანეთი.

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის მიზნით ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი 1 მილიარდ 332 მილიონი მანეთის ოდენობით. ამ ფონდში ჩაირიცხება: საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგება, რომელიც მიღებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხთა განაკვეთის 11 პროცენტით შემცირებით; ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების 20 პროცენტი. წლის დასაწყისისათვის დარიცხული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთის 50 პროცენტი, გადასახადი გაყიდვიდან — 5 პროცენტამდე ოდენობით; აგრეთვე 1991 წლის 1 იანვრისათვის რიცხული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის გადაფასების შედეგად მიღებული შემოსავალი.

ბიუჯეტის პროექტის მუდმივ კომისიებში განხილვისას ამ შემოსავლებმა სერიოზული სჯა-ბაასი გამოიწვია, სამინისტროებმა და უწყებებმა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთის 50 პროცენტის მიმართვა სტაბილიზაციის ფონდში. ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი. შრომითი კოლექტივები საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში მშრომელთა მონაწილეობას ამ ფონდების მეშვეობით მოახდენენ, ე. ი. ისინი გახდებიან საწარმოთა მესაკუთრენი, სწორედ ამ ფონდების ანგარიშში შეძენილი აქციების წყალობით. ვფიქრობ, მშრომელები მოიწონებენ ამ ჩანაფიქრს.

რაც შეეხება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობიდან 5 პროცენტამდე გადასახადს, ის გავრცელდება იმ პროდუქციაზე, რომელიც ძირითადად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიყიდება. მაგალითად, ღვინის მრეწველობის პროდუქცია. სწორედ მის საცალო ფასს დაემატება 5-პროცენტიანი გადასახადი და ჩაირიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტში.

რესპუბლიკის 1991 წლის ბიუჯეტის პროექტით სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 1.827 მილიონი მანეთის ხარჯები, მათ შორის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად — 700 მილიონი მანეთი, რაც ძირითადად უნდა მოხმარდეს საბინაო, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. ამასთან, თანმიმდევრულად ხორციელდება სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ამაღლების, შრომისა და ომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების პროგრამა, რის შედეგად გაიზრდება ხარჯები სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საერთო მოცულობიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებსა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დაფინანსებას მოხმარდება 4.306 მილიონი მანეთი, რაც შეადგენს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების 66 პროცენტს.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია სახალხო განათლებისა და კულტურის შემდგომ განვითარებას 1991 წელს მოხმარდეს 1186 მილიონი მანეთის საბიუჯეტო ასიგნება, რაც 218 მილიონით აღემატება მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმას.

1991 წელს შეუნელებელი ყურადღების ცენტრში მოექცევა ჯანმრთელობის დაცვის არსებითი გაუმჯობესების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხები. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია მიიმართოს 588 მლნ მანეთი, ანუ 23 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთ პროდუქციაზე ფასების მოსალოდნელ მატებასთან დაკავშირებით, კომპენსაციას რესპუბლიკის მშრომელები მიიღებენ ხელფასზე, პენსიასა და სტიპენდიაზე დანამატების სახით.

1991 წელს პენსიების, დახმარებების, სანატორიუმ-საკურორტო და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდება 2.293 მილიონი მანეთი, მათ შორის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან — 744 მილიონი მანეთი.

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებაზე გაისად დაიხარჯება 43 მილიონი მანეთი, რაც 7,7-ჯერ აღემატება 1990 წლის გეგმას.

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. რესპუბლიკაში გაისად სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე 806 მანეთი მოდის, მაშინ როდესაც 1989 წელს ამ მიზნით 367 მანეთი დაიხარჯა, ხოლო მიმდინარე წელს ამავე მიზანს 400 მანეთი მოხმარდა.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების შენახვისათვის 1991 წლის პროექტით გათვალისწინებულია 177 მილიონი მანეთი, რაც 133 მილიონით მეტია მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით.

საქართველოს 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი, მსგავსად რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა, მთელი რიგი სერიოზული სტრუქტურული ცვლილებებით ჩამოყალიბდა და მისი ხარჯები განისაზღვრა 5197 მილიონი მანეთით, ხოლო შემოსავალი — 4412 მილიონი მანეთით. რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებმა 786 მილიონი მანეთით გადააჭარბა მის შემოსავლებს.

საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო და საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტები პროექტით ხარჯების ნაწილში ჩამოყალიბდა 1507 მილიონი მანეთის ოდენობით, ხოლო შემოსავლის ნაწილში 1282 მილიონი მანეთის ოდენობით. ამ ბიუჯეტების ხარჯების შემოსავალზე გადამეტება — დეფიციტი შეადგენს 225 მილიონ მანეთს. ამრიგად, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის გარკვეული რეზერვები რესპუბლიკას აქვს, მაგრამ მას ბიუჯეტის შემოსავალში არ ვითვალისწინებთ, ვინაიდან ჯერჯერობით სათანადო კანონმდებლობით არ არის უზრუნველყოფილი. ეს გახლავთ საწარმოთა პრივატიზაცია; კომუნალური ფონდის მოსახლეობისათვის მიყიდვა; ფასების მომატება იმ პროდუქციაზე, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადის. ეს ეხება როგორც სახალხო მოხმარების საქონლის, ასევე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლის საცალო ფასებს. ეს ეხება ციტრუსებს, ხილს, საადრეო კარტოფილს და სხვა პროდუქტებს, რომლებსაც საკავშირო ფონდში ვგზავნით; ფასიანი ქაღალდების გამოშვება; საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა; სატრანზიტო გადასახადი, რომელსაც გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები საქართველოს ტერიტორიაზე გავლით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის; გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, კერძოდ, მადნეული და არამადნეული წიაღისეულის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანისათვის; საკურორტო გადასახადი, რომელსაც გადაიხდიან რესპუბლიკის კურორტებზე დროებით საცხოვრებლად ან დასასვენებლად ჩამოსული პირები და სხვა.

მოგახსენებთ აგრეთვე, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად თქვენს განსახილველად შემოაქვს საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიში, რომლის შემოსავალმა შეადგინა 4.532,8 მილიონი მანეთი, ხოლო გასავალმა — 4.398,8 მილიონი მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მეტად დაძაბულია. ბიუჯეტის დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებისა და ლიკვიდაციის მიზნით აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის ძირეული გარდაქმნა დამატებითი ფინანსური რესურსების გამოძებნისა და მეურნეობრიობის ახალი ფორმების უპირატესობათა მაქსიმალური გამოყენების მიმართულებით.

შემოგვაქვს რა თქვენს განსახილველად 1991 წლის ბიუჯეტის პროექტი, არაორდინარული თავისებურებებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მომავალი წლის ყველა აუცილებელი ღონისძიების დაფინანსება, გთხოვთ დაგვეჭიროთ მხარი და დაგვიმტკიცოთ იგი.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება უზენაესი საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის დღეს ან ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 3. უზენაესი საბჭოს წევრის სადეპუტატო მოწმობა და სამკერდე ნიშანი

უზენაესი საბჭოს წევრი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში სარგებლობს სადეპუტატო მოწმობითა და სამკერდე ნიშნით. მოწმობისა და სამკერდე ნიშნის დებულებებს, მათ ნიმუშებსა და აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 4. უზენაესი საბჭოს წევრის მოვალეობათა შეთავსება სხვა საქმიანობასთან

უზენაესი საბჭოს წევრი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით. გამონაკლისი არ დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივი ორგანოების ხელმძღვანელებისათვის.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, უფლება ეძლევა სადეპუტატო საქმიანობას შეუთავსოს სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობა 0,25 ან 0,5 საშტატო განაკვეთზე.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც ეწევა შემოქმედებით საქმიანობას, უხელფასო გაცდენის დროს ეძლევა ხელფასი უზენაესი საბჭოს იმ წევრის თანაბრად, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

მუხლი 5. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ვადამდე წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შემდეგ შემთხვევაში:

უზენაესი საბჭოს წევრის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნისას;

უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის ძალაში შესვლისას;

უზენაესი საბჭოს წევრისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;

იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს ისეთი თანამდებობა უკავია, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსთან.

მუხლი 6. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერება

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერების უფლება აქვს:

1) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში და სესიის მიმდინარეობისას უზენაესი საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, თუ ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ შემოტანილია წარდგინება;

2) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უზენაესი საბჭოს წევრის თხოვნით, თუ იგი იმყოფება ხანგრძლივ მივლინებაში, საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას ან სხვა შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს დროებით არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება;

3) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიის წარდგინებით იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი საბჭოს წევრი არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ესწრება უზენაესი საბჭოს სხდომებს, ანდა პრაქტიკულად არ მონაწილეობს უზენაესი საბჭოს ან მისი ორგანოების მუშაობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის კანონების, უზენაესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების მიღებისას უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობაში არ შედიან უზენაესი საბჭოს ის წევრები, რომელთა უფლებამოსილება შეწყვეტილია ან დროებით შეჩერებულია.

II. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობა უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში

მუხლი 7. უზენაესი საბჭოს წევრის მონაწილეობა უზენაესი საბჭოს სესიებში

უზენაესი საბჭოს წევრები თავისუფალი განსჯის საფუძველზე სესიებზე იხილავენ და წყვეტენ ყველა იმ საკითხს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის განმგებლობას განეკუთვნება.

უზენაესი საბჭოს წევრი მოვალეა ესწრებოდეს სესიებს, თუ მას არა აქვს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, ამის შესახებ უნდა აცნობოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს.

მუხლი 8. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე

უზენაესი საბჭოს წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ყველა იმ საკითხში, რომლებიც იხილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს უზენაესი საბჭოს ორგანოებში;

ბ) გამოთქვას აზრი უზენაესი საბჭოს შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს უზენაესი საბჭო;

გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებანი უზენაესი საბჭოს სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის გამო;

დ) შეიტანოს წინადადებანი უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ყოველი ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშისა თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

ე) დასვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თუ მისი ცალკეული წევრისადმი ნდობის შესახებ;

ვ) მონაწილეობდეს კამათში, შეკითხვის წესით დააყენოს საკითხები, შეეკითხოს მომხსენებლებს, აგრეთვე სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხები და მისცეს მათ შეფასება;

ზ) წამოაყენოს წინადადებები კანონების, დადგენილებების, სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტებში შესწორებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

თ) გაეცნოს თავისი გამოსვლების ტექსტებს უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომათა სტენოგრამებსა და ოქმებში გამოქვეყნებამდე, აგრეთვე მიიღოს გამოსვლების ტექსტები, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას;

ი) გადასცეს სხდომის თავმჯდომარეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები უზენაესი საბჭოს სესიაზე განსახილველი საკითხის გამო;

კ) სხდომაზე დასწრების შემთხვევაში არ მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში (მაგრამ აუცილებლად უნდა გაიაროს რეგისტრაცია).

მუხლი 9. უზენაესი საბჭოს წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

უზენაესი საბჭოს წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, ანუ უფლება შეიტანოს სათანადო წესით ჩამოყალიბებული კანონპროექტი ან წინადადება კონკრეტული კანონის მიღებასთან თუ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით, რაც განხილულ უნდა იქნეს უზენაეს საბჭოში.

მუხლი 10. უზენაესი საბჭოს წევრის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება

უზენაესი საბჭოს წევრს ან წევრთა ჯგუფს უფლება აქვთ შეკითხვის წესით დააყენონ საკითხი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო, აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხები.

უზენაესი საბჭოს წევრს შეუძლია შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების წინაშე.

დეპუტატი შეკითხვის წესით საკითხს აყენებს წერილობითი ფორმით.

უზენაესი საბჭოს წევრი ან მისი თხოვნით უზენაესი საბჭოს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სესიას შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს.

სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშეც შეკითხვის წესით დააყენეს საკითხი, ვალდებულია გასცეს ოფიციალური პასუხი სესიის სხდომაზე არა უგვიანეს სამი დღის ვადისა ან უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებულ სხვა ვადაში. უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეაფასოს შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე თანამდებობის პირის პასუხი. შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო, განხილვის შედეგების მიხედვით, მიიღება დადგენილება.

მუხლი 11. უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა

უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ წერილობითი ფორმით თავმჯდომარისათვის გადაცემულ წინადადებებსა და შენიშვნებს განიხილავენ უზენაესი საბჭო, მისი მუდმივი კომისია (ან კომისიები), ანდა უგზავნიან შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს განსახილველად.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, აგრეთვე თანამდებობის პირნი, რომლებსაც გაეგზავნათ უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებები და შენიშვნები, მოვალენი არიან განიხილონ ისინი არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში და შედეგები აცნობონ უშუალოდ უზენაესი საბჭოს წევრს, აგრეთვე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

უზენაესი საბჭოს წევრის წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისა და რეალიზაციის კონტროლს ახორციელებს შესაბამისი მუდმივი კომისია.

მუხლი 12. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობა უზენაესი საბჭოს ორგანოებში

უზენაესი საბჭოს ორგანოებში არჩეული წევრი მოვალეა მონაწილეობდეს მათს მუშაობაში.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც არ შედის უზენაესი საბჭოს ორგანოების შემადგენლობაში, უფლება აქვს მონაწილეობდეს მათს სხდომებში, შეიტანოს წინადადებანი, მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებათა მიღებაში სათათბირო ხმის უფლებით.

III. უზენაესი საბჭოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან

მუხლი 13. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება საარჩევნო ოლქში ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მუშაობასთან დაკავშირებით

საარჩევნო ოლქში ან შესაბამის პოლიტიკურ ორგანიზაციაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოებში ამომრჩეველთა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წევრების ინტერესებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვაში;

ბ) კონტროლი გაუწიოს მის მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი მოვალე არიან დახმარება გაუწიონ უზენაესი საბჭოს წევრს მის საკონტროლო საქმიანობაში;

გ) მოაწყოს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა კრებები, შეხვედრები შრომით კოლექტივებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ადგილობრივ ორგანოებთან.

მუხლი 14. უზენაესი საბჭოს წევრის მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა

უზენაესი საბჭოს წევრი კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს მასთან შესულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, ახორციელებს ღონისძიებებს მათი სწორი და დროული გადაწყვეტისათვის, იღებს მოქალაქეებს, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, შეაქვს წინადადებანი ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ თუ ადგილობრივ ორგანოებში, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

მუხლი 15. უზენაესი საბჭოს წევრის ანგარიში ამომრჩეველთა ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წინაშე

უზენაესი საბჭოს წევრი მოვალეა წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბაროს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ ოლქის ამომრჩევლებს ან დეპუტატობის კანდიდატად მის დამსახელებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

მუხლი 16. უზენაესი საბჭოს წევრისათვის ხელშეწყობა ამომრჩევლებთან ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოწყობაში

უზენაესი საბჭოს წევრს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს საჭირო პირობები ანგარიშგების და ოლქის ამომრჩევლებთან ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოწყობისათვის. მისი თხოვნით ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანო, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია გამოყოს შენობა, აცნობოს მოქალაქეებს, როდის და სად ეწყობა დეპუტატის ანგარიშგება, მისი შეხვედრები ამომრჩევლებთან.

IV. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის გარანტიები

მუხლი 17. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების გარანტიები

უზენაესი საბჭოს წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას უზრუნველყოფს:

ა) უზენაესი საბჭოს სესიაზე საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილი წინადადების სავალდებულო განხილვა;

ბ) უზენაესი საბჭოს წევრის მიერ შეტანილი წინადადების, აგრეთვე კანონის ყველა შესწორების გამო სავალდებულო კენჭისყრა.

მუხლი 18. უზენაესი საბჭოს წევრის უფლება დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირთა მიერ

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

(დასასრული)

სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს წევრი სარგებლობს უფლებით დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირთა მიერ, აგრეთვე უფლებით შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოში, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

მუხლი 19. უზენაესი საბჭოს წევრის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უზრუნველყოფს უზენაესი საბჭოს წევრს უზენაესი საბჭოს დოკუმენტებით, აგრეთვე მთავრობის, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ ოფიციალურად გავრცელებული საინფორმაციო და საცნობარო მასალებით.

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირნი მოვალე არიან უზენაესი საბჭოს წევრი უზრუნველყონ სპეციალისტთა კონსულტაციებით დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაუყოვნებლივ მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია, საშუალება მისცენ ისარგებლოს ასლგადასაღებ-გამრავლებელი და გამოთვლითი ტექნიკით.

მუხლი 20. უზენაესი საბჭოს წევრისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო, იურიდიულ დაწესებულებათა, სასწავლებელთა ადმინისტრაციათა, სამართალდაცვითი ორგანოები დახმარებას უწევენ უზენაესი საბჭოს წევრს სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში.

მუხლი 21. თანამდებობის პირთა მოვალეობა იხილავდნენ უზენაესი საბჭოს წევრთა მიმართვებს

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, თანამდებობის პირს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობდეს აღძრულ საკითხთა განხილვაში, აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირნი მოვალე არიან უზენაესი საბჭოს წევრს დაუყოვნებლივ გასცენ პასუხი მის მიმართვაზე, ხოლო შესაბამისი საკითხის დამატებითი შესწავლის ან შემოწმების საჭიროების შემთხვევაში — არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

მუხლი 22. უზენაესი საბჭოს წევრის უფლება მოითხოვოს კანონიერების დარღვევის აღმოფხვრა

უზენაესი საბჭოს წევრს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს ადგილზე მოითხოვოს კანონიერების დარღვევის შეწყვეტა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს აღკვეთონ კანონის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი, რომლებსაც ეხებათ უზენაესი საბჭოს წევრის მოთხოვნა, მოვალე არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ დარღვევების აღმოფხვრის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბრალეულთა პასუხისგებაში მიცემის ღონისძიებანი, ამასთან შემდგომში აცნობონ ეს უზენაესი საბჭოს წევრს.

მუხლი 23. სადეპუტატო საქმიანობის მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, აუნაზღაურდება ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ხელფასის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

V. უზენაესი საბჭოს წევრის შრომითი უფლებების დაცვა. უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობა

მუხლი 24. უზენაესი საბჭოს წევრის შრომითი უფლებების გარანტიები

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, უნარჩუნდება სამუშაო ადგილი უზენაეს საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულების მთელ პერიოდში.

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ მას ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა მისი ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა) ამავე ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება დაითხოვონ სამუშაოდან ადმინისტრაციის ინიციატივით, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან სხვა კოოპერაციული ორგანიზაციიდან, სასწავლებლებიდან ანდა გადაიყვანონ დისციპლინური დასჯის წესით ნაკლებხელფასიან სამუშაოზე (დააქვეითონ თანამდებობით) უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა და სხდომებს შუა პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში დეპუტატის მუშაობის დრო ჩაითვლება სპეციალობით მუშაობის საერთო უწყვეტ სტაჟად.

უზენაესი საბჭოს წევრად არჩევა არ იწვევს შემოქმედებით კავშირებსა და თავისუფალ პროფესიულ გაერთიანებებში წევრობის შეწყვეტას.

მუხლი 25. უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობა

უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა და სხდომებს შუა პერიოდში — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე გარდა იმ შემთხვევისა, როცა უზენაესი საბჭოს წევრი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ასეთ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ ფაქტის შესახებ უზენაეს საბჭოს.

უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

უზენაესი საბჭოს წევრი ვალდებული არ არის მოწმის სახით დაკითხვის დროს გაახმაუროს ცნობები, რომლებიც მან სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით მიიღო, აგრეთვე მიუთითოს ამ ცნობების მიღების წყაროები.

დაუშვებელია როგორც უზენაესი საბჭოს წევრის იძულებით მიყვანა, ასევე მისი პირადი ნივთების, ბარგის, ტრანსპორტის, საცხოვრებელი ან სამუშაო სადგომების შემოწმება.

უზენაესი საბჭოს წევრი საზღვარგარეთ მგზავრობისას სარგებლობს დიპლომატიური პასპორტით.

მუხლი 26. უზენაესი საბჭოს წევრის პასუხისგებაში მიცემაზე თანხმობის მიღების წესი

უზენაესი საბჭოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების ან სასამართლო წესით დადებული ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებისათვის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებსა და სხდომებს შუა პერიოდში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის მისაღებად საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უზენაესი საბჭოს წევრისათვის ბრალდების წაყენების, მისი დაპატიმრების სანქციის გაცემის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის სასამართლოში გაგზავნის წინ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინება.

უზენაესი საბჭო წარდგინებას განიხილავს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს შეიძლება გამოეთხოვოს დამატებითი მასალები. საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს უზენაესი საბჭოს წევრს, რომლის გამო შეტანილია წარდგინება. უზენაესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და სამი დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი საქმის წარმოების დამთავრებიდან სამი დღის ვადაში ვალდებულია აცნობოს უზენაეს საბჭოს საქმის გამოძიების ან განხილვის შედეგები.

მუხლი 27. უზენაესი საბჭოს წევრის თანაშემწის შესახებ

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს საზოგადოებრივ საწყისებზე აიყვანოს თანაშემწე.

მაჟორიტარული წესით არჩეულ უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აიყვანოს რწმუნებული, რომლის შრომა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 28. თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის

სახელმწიფო უზრუნველყოფს პირობებს უზენაესი საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელებისათვის, იცავს მის უფლებებს, სახელსა და ღირსებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს უზენაესი საბჭოს წევრის წინაშე, ხელს უშლიან მუშაობაში, აწვდიან მცდარ ინფორმაციას, არღვევენ სადეპუტატო საქმიანობის გარანტიებს, ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის თაობაზე

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები:

1. 163-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და რაიონის (ქალაქის) სასამართლოები“.

2. 164-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 164.** საქართველოს რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა დანიშვნის ან არჩევის და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებსა და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები, ადმინისტრაციულ მოსამართლეებს — შესაბამისად რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით. ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ნიშნავენ ხუთი წლის ვადით. ყველა სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას კენჭისყრით, საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს — ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

უზენაესი სასამართლოების მოსამართლეები და ყველა სასამართლოს მსაჯულები პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩევლების წინაშე და შეიძლება მათ მიერვე იქნენ გაწვეული კანონით დადგენილი წესით“.

3. 167-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მოსამართლეთა და მსაჯულთა ხელშეუხებლობას, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობის სხვა გარანტიებს აწესებს კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები“.

4. 171-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამართალწარმოება საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე პირთათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება“.

5. 173-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და“.

6. 166-ე, 167-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო მსაჯულთა“, „სახალხო მსაჯულები“, „სახალხო მსაჯულებისათვის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „მსაჯულთა“, „მსაჯულები“, „მსაჯულებისათვის“.

7. 110-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი“.

8. 104-ე მუხლის მე-19 პუნქტს სიტყვების „გენერალურ პროკურორს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდალს“.

9. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს სიტყვების „გენერალური პროკურორის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის“.

10. 177-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „რაიონების, ქალაქების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ტრანსპორტის“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, რაც აძლევს შესაძლებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მოიხადონ თავიანთი საპატიო ვალი სამშობლოს წინაშე, და აგრეთვე მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკაში მოქმედი კანონით გაუთვალისწინებელ ფორმირებებს დესტაბილიზაცია შეაქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საფრთხეს უქმნიან სამოქალაქო მშვიდობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და კანონით დაცულ ინტერესებს,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. აიკრძალოს რესპუბლიკაში კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა და მოქმედება.

2. წინადადება მიეცეთ კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებებში გაერთიანებულ პირებს ერთი თვის ვადაში ჩააბარონ იარაღი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს.

3. დადასტურდეს, რომ, თუ ამ დადგენილების მეორე პუნქტში აღნიშნული პირები დათქმულ ვადაში ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, მათ მიმართ არ იქნება გამოყენებული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საზღვარგარეთ

გაძარცვეს ტაძარი

ბერლინი, 28 დეკემბერი. ლაიფციგის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მემორიალური ტაძრიდან 23 დეკემბერს, ღამით უცნობმა ბოროტმოქმედებმა მოიტაცეს დაახლოებით მილიონი მარკის ღირებულების ქონება და ფულადი სახსრები, რომლებიც „ჩერნობილის ბავშვთა“ ფონდში იყო შეკრებილი.

როგორც დღეს ტაძრის მოსამსახურეებმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს, მოპარულ ფასეულობათა შორისაა პოჩაის ღვთისმშობლის 17-18-ე საუკუნეების ხატი, რომელიც ტაძარს რამდენიმე წლის წინათ რუსული წარმოშობის გერმანელმა მოქალაქემ ნიკოლოზ ბაზიკინმა აჩუქა. აგრეთვე ვერცხლის საზიარებელი ფიალები.

ლაიფციგის სისხლის სამართლის პოლიცია აწარმოებს დანაშაულის გამოძიებას, მაგრამ ჯერჯერობით ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

საბჭოთა წარმომადგენელი შეხვდა სადამ ჰუსეინს

ნიქოზია, 28 დეკემბერი. სსრ კავშირის პრეზიდენტის დავალებით ერაყის დედაქალაქში ჩამოსული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. ბელოუსოვი გუშინ შეხვდა სადამ ჰუსეინს. საუბარმა 3 საათზე მეტ ხანს გასტანა დახურულ დარბაზში. მისი შინაარსის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

მარგარეტ თეტჩერი — „წლის ქალი“

ლონდონი, 28 დეკემბერი. დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და კონსერვატიული პარტიის ლიდერი მარგარეტ თეტჩერი ბრიტანელებმა მეხუთედ დაასახელეს „წლის ქალად“. მან მოაგროვა ყველაზე მეტი ხმა ბი-ბი-სი „თუდეი“ რადიოპროგრამის მიერ მოწყობილ საზოგადოებრივი აზრის ტრადიციულ გამოკითხვაში.

მეორე ადგილი დაიკავა ირლანდიის პრეზიდენტმა მერი რობინსონმა. მას მოჰყვება ცნობილი ბრიტანელი იახტსმენი ქალი ტრეისი ედვარდსი.

პრეზიდენტები იმარჯვებენ

ბუენოს-აირესი. არგენტინაში ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს მან და არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა წყვილთა მატჩი ითამაშეს ჩოგბურთში. პრეზიდენტებმა დაამარცხეს მეტოქეები.

რეიტერ-საქდესის ტელეფოტო

შემთხვევა

სამუზეუმო ციებ-ცხელება

ცნობა მეტად სამწუხარო და მოულოდნელი იყო: უცნობი პირები ღამით გალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში შეიპარნენ და უამრავი ძვირფასი ნივთი წაიღეს, როგორც ექსპოზიციიდან ისე საცავებიდან, გატაცებულ ექსპონატთა შორის არის ოქროს გემა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნით დათარიღებული ბეჭედი, 380-ზე მეტი ვერცხლის მონეტა, ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის ეგრეთ წოდებული „კოლხური თეთრი“, მონეტები აბაკუს გათხრებიდან, ძვირფასი თვლები, შუა საუკუნეების ფერადი მინის შანდალი. მძარცველებმა წაიღეს უძველესი სამკაულები — დიდი მხატვრული ღირებულების ბეჭდები, მძივები, ვერცხლის ქამარ-ხანჯლები, ვაჟაფშაველას ვერცხლის მათრახი.

როცა ეს მასალა უკვე მზად იყო დასაბეჭდად, კიდევ ერთი ცნობა მოვიდა: სოხუმში გაძარცვეს დ. ი. გულიას სახელობის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მძარცველები მიიმალნენ.

თუ ასე გაგრძელდება, მალე, შესაძლოა მაღაზიის დახლებზე საქონლის დეფიციტს სამუზეუმო ექსპონატების დეფიციტიც შეემატოს.

ვლადიმერ ცაგავა,
საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“ — საქინფორმის კორ.

ხიდი

თქვენი ნაბიჯი ეროვნული გმირობაა

ამ დღეებში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას ეწვია უცხოელი სტუმარი, ახოვანი, ქართული იერსახის ჭარმაგი ინტელიგენტი და სიხარულით გაგვეცნო — ალექსი ენუქაშვილი, ისრაელის ქალაქ იერუსალიმიდან!..

წარმოშობით ქუთაისელი, ოდესის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებული, წყალტუბოს „კურორტვაჭრობის“ საქონელმცოდნე, საყვარელ მიწა-წყალთან გამოთხოვების მძიმე განცდებით, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით დამშვიდობებია სამშობლო საქართველოს და ქართველ ებრაელთა ჯგუფთან ერთად 1974 წელს სამუდამო საცხოვრებლად გამგზავრებულა ისრაელში, აქ დარჩენია დიდძალი ნათესაობა.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის გასაუბრებას სტუმართან:

— **მსმენია თქვენი გვარი. მძიმე ტვირთი გაგყოლიათ, ბატონო ალექსი..., დარდი.**

— ჩემი გვარი დღეს მარისია, გაზრდილი ბებიის სახელის მარიამისა და მამის სახელის —იოსების მიხედვით... გამყვა ტვირთი. მეტად მძიმე, რა თქმა უნდა, მაგრამ არანაკლებ ძლიერი შეიქმნა ყივილი მიწისა, წადილი ჩემი ერის უძველესი სამშობლოს მიწაზე დამკვიდრებისა, ბიძგი გადაადგილებისათვის მომცა კიდევ იმ დროსთან დამოკიდებულებამაც. იგივე მიწის ყივილმა მომანატრა ჩემი ადგილის დედა — ჩემი მშობლიური საქართველო, რომლის მიწაზე ფეხი ავიდგი, და აი ჩამოვედი მოსანახულებლად და ისრაელ ქართველ ებრაელთაგან დანაბარების გადმოსაცემად.

— **თქვენი ჩამობრძანება ოფიციალურიც არის, ბატონო მარის, ორი ერის — ქართველი და ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვანი კეთილი ურთიერთობის გამომხატველი დიდი მისიით ხართ დღეს მშობლიურ საქართველოში.**

— დიახ, მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ქართველი ერის წინამძღოლს ბატონ ზვიად გამსახურდიას, ისრაელის მთელი ქართველი ებრაელობის სახელით მომელოცა მისთვის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვება, ერის ნებით და ერთსულოვნებით თავისუფალი დამოუკიდებელი სუვერენული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობა. მას გადაეცა ორი წერილი: პირველ მათგანში ქალაქ იერუსალიმის მერი ბატონი ტედი კოლეკი ატყობინებს, რომ მან დიდი პატივით მიიღო საქართველოდან ფეხით ჩამოსულნი — 70 წლის შემდეგ, ქართველი ერის წარმომადგენლები, და ამ შეხვედრაზე ივალდებულა, დიდ ქართველ ერს ქალაქ იერუსალიმში უსასყიდლოდ გამოუყოს მიწა, რათა ამ წმინდა მიწაზე ქართველებმა აღაშენონ თავიანთი ეკლესია, რომელიც გახდება ქართველი ერის საგალობლისა და კულტურის ცენტრი; მეორე წერილში უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსი ილია II აღფრთოვანებას გამოთქვამს აღნიშნული აქციის გამო და აღუთქვამს თავის მხრივ სრულიად საქართველოს ღირსეულ დახმარებას. ამას ხელს შეუწყობენ ქართველი ინტელიგენცია და „საქართველოდან გამოსული და ამოსული“ ებრაელობის წარმომადგენლები. ეს იქნება დიდი საჩუქარი აღორძინებული საქართველოსადმი დამდეგი ახალი წლისათვის.

ბატონმა ზვიადმა დიდი სიხარულით მიიღო ეს ცნობა და ბრძანა, რომ ამ ისტორიულ საქმეს ხელს შეუწყობს. საუბარი, რომელსაც ესწრებოდნენ ბატონი თეიმურაზ ქორიძე და ბატონი თენგიზ დიხამინჯია, ძირითადად შეეხებოდა საქართველოსა და ისრაელის კეთილისმყოფელ დიპლომატიურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივებს, რომელსაც მოჰყვება ქართველი ერის დიდ პრობლემათა გადაჭრისათვის ხელშემწყობი აქციები. მოხდება სამთავრობო და საზოგადოებრივი დელეგაციების რეგულარული დიპლომატიური გაცვლა.

ბატონ ზვიადს გადავეცი ებრაელი ხალხის მილოცვა ერთსულოვანი არჩევის გამო და ვუსურვე ყოველივე სიკეთე დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინების გზაზე. ბატონმა ზვიადმა აღნიშნა, რომ ხელს შეუწყობს ამ ორი ერის მეგობრობასა და დაახლოებას.

— **დიახ, ბატონო მარის, სწორედ რომ „ძმები ვიყავით და ძმებადვე დავრჩებით“... როგორ აეწყო თქვენი პირადი ცხოვრება თქვენს მეორე სამშობლოში?**

— ბედს ვერ დავემდურები. ვმუშაობ ქალაქ იერუსალიმში ჩემი სპეციალობით. იერუსალიმშივე შევხვდი და გავეცანი თბილისიდან ჩასულ ქალს დინა ბერაშვილს — მუსიკის მასწავლებელს, რომელსაც თბილისში ჰყავს ნაცნობ-მეგობართა და ნათესავების დიდი წრე. გვეზრდება 14 და 12 წლის ქალ-ვაჟი იოსები და მირიამი. ვარ „საქართველოდან გამოსულთა და ამოსულთა“ ეროვნული მოძრაობის თავმჯდომარე.

— **მკითხველებისათვის მრავალი წყაროთი ცნობილია, თუ როგორ სუნთქავს ქართველი ებრაელობა ქართული სულით, მუდამ ყურადღების ცენტრში გაქვთ საქართველოს ბედ-იღბალი, აქ მომხდარი ამბები...**

— ქართველ ერთან ერთად ვიგლოვეთ 9 აპრილის ტრაგედია, ქართველ ერთან ერთად ვიზეიმეთ „მრგვალი მაგიდის— თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვება არჩევნებში. იმედიანად გვეგულვის მშობლიური საქართველო ბატონ ზვიად გამსახურდიას ლიდერობით. მე აქედან გამაცილეს სევდით, ცრემლით, მწუხარებით. შემეგებნენ კი სიხარულით, სიყვარულით. ვამაყობთ ქართველი ებრაელები რომ ვართ მამაპაპის წმინდა მიწაზე და იქ, სადაც ერის გენიამ შოთა რუსთაველმა თავისი უკანასკნელი სასუფეველი პოვა, ჩვენი ჩასვლით მსოფლიომ უფრო მეტი გაიგო საქართველოზე. ჩვენ მშობლიური საქართველოს დიდი პროპაგანდისტები ვართ. ამას მეტყველებს ქართულ ენაზე გამომავალი ჩვენი პრესა: „ალია“, „სამშობლო“, „ხიდი“, ჟურნალი „დროშა“, რომელთა იდეალია არდავიწყება ქართველ ერთან მეგობრობისა, მოვლა იმ ხიდისა, ქართველ ებრაელობასთან და საქართველოსთან საუკუნეებმა რომ გასდეს, ამას მსახურებს „საქართველოდან გამოსულთა და ამოსულთა“ ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ვხელმძღვანელობ. ვსუნთქავთ ყოველივე ქართულით. ჩვენს მომავალ თაობას გადავცემთ ყველაფერს კარგს, რაც ქართული ტრადიციით ნაკარნახევია — სტუმართმოყვარეობას, ვასწავლით ქართულ ცეკვას, სიმღერას, ქართულ ენას... არდავიწყება იმ ამაგისა, რაც ქართველმა ერმა დაგვდო ჩვენ, მასთან შეხიზნულ ებრაელობას, დღეს ქართველ ებრაელობად წოდებულს!

— **როგორია თქვენი აქაური შთაბეჭდილებები ამ დღეებში?**

— თითქმის სამი კვირაა, ვიმყოფები ჩემს მშობლიურ საქართველოში. მოვინახულე ახლო ნათესავები, მეგობრები. გულახდილად გეტყვით, დღეს ჩემს საყვარელ მიწა-წყალზე, სადაც ფეხი ავიდგი, დედაენას ვეზიარე, სითბო და სიყვარული შევისისხლხორცე, ცოტა დაძაბული სიტუაციაა. მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოთ, ხელი არ უნდა ჩაგაქნევინოთ იმ დიდ საშვილიშვილო საქმეზე, რასაც თქვენ ასე ნამდვილი ქართული შემართებით შეუდექით, და რასაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ეწოდება. ცხოვრებაში ღრმად ჩახედული კაცი თუ ხარ, უნდა გესმოდეს, რომ ყოველ დიდ საქმეს — თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი კი ნამდვილი ეროვნული გმირობაა — ბუნებრივია, ასევე დიდი წინაღობები აქვს, მაგრამ მე მწამს, რომ თქვენ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, ამ ბრძოლაში მხარში ამომდგარი გეყოლებათ ქართველი ებრაელობა, ისინი, ვინც საუკუნეების მანძილზე მუდამ თქვენთან იყო.

გულთბილი, საქმიანი შეხვედრა მქონდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ გიორგი ხოშტარიასთან. დაისახა საქართველო-ისრაელის, კერძოდ, ისრაელის ქართველ ებრაელობასთან კეთილსასურველ ურთიერთობათა პერსპექტივები. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ დიხამინჯია, საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ბატონი შალვა სვანი და ისრაელში ფეხით ჩასულ ქართველთა ჯგუფის წევრი მსახიობი ქალბატონი იზა გიგოშვილი.

როდესაც რუსთაველის გამზირზე გავიარე, თვალზე ცრემლი მომადგა. წუთიერი დუმილით პატივი ვეცი იმ ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილების და ჭაბუკების ხსოვნას, რომლებიც სამშობლოს სიყვარულსა და თავისუფლებას შეეწირნენ ტრაგიკულ 9 აპრილს, მოწიწებით დავდე გვირგვინი ჩემი და ჩემი თანამემამულეების სახელით იმ ადგილას, სადაც უნდა აღიმართოს მათი სამარადისო ხსოვნის უკვდავების მემორიალი. სამარადისო ხსოვნა მათ, მრავალჟამიერ მათ მშობელ ერს!

ვსარგებლობ შემთხვევით და მშობლიურ საქართველოს, მის ერს ვულოცავ დამდეგ ახალ — 1991 წელს. ამ ლოცვას უერთდება ჩემთან ერთად ჩამოსული იერუსალიმის ქართველ ებრაელთა რაბი, წარმოშობით ქუთაისელი ბატონი დავით მეგრელიშვილი...

ქართული მრავალჟამიერ!

— **ამინ!**

ესაუბრა ლადო დემეტრაძე.

გულწრფელი და მზრუნველი მეგობარი

პროფესორმა პეტერ ჰანელტმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს კულტურული ფლორის გენეტიკური რესურსების შესწავლის, დაცვისა და გამოყენების საქმეს. მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი გერმანიის გენეტიკისა და კულტურულ მცენარეთა კვლევის ცენტრალური ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობს, ამავე დროს კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების სექციის თავმჯდომარეა.

საქართველოს ბატონი პეტერ ჰანელტი პირველად 1978 წელს ესტუმრა თავის კოლეგასთან, პროფესორ კარლ ჰამერთან ერთად. ისინი დაწვრილებით გაეცნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტს და რესპუბლიკაში მომიჯნავე პროფილის ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს. რამდენჯერმე შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს კულტურულ მცენარეთა გამოჩენილ მკვლევარს აკადემიკოს ვ. მენაბდეს და ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ნ. კეცხოველს.

როცა დარწმუნდნენ, რომ საქართველოში, მიწათმოქმედების ამ უძველეს ქვეყანაში, რომელიც მრავალი კულტურული მცენარის წარმოშობის კერად არის აღიარებული, კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების გამოკვლევა არ წარმოებს, რადგან რესპუბლიკას არ გააჩნია საამისო პირობები. მათ აკადემიკოს ვ. მენაბდეს შესთავაზეს ერთობლივ სამუშაოთა შესრულება.

თანხმობის მიღების შემდეგ, 1981 წლიდან, განხორციელდა საქართველოსა და გერმანიას შორის ორმხრივ სასარგებლო ხელშეკრულებით მიმდინარე საქართველოს გენეტიკური რესურსების ფუნდამენტური გამოკვლევა.

ათი წლის განმავლობაში ფ. ჰანელტის და მისი კოლეგების, ცნობილი მკვლევარების და ქართველ ბოტანიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება საქართველოს რეგიონების დაწვრილებითი ექსპედიციური გამოკვლევა, და თუმცა საქართველოში იმ წლებში მეტად დაძაბული და რთული სიტუაცია იყო, ეს სამუშაოები დაუბრკოლებლივ და დიდი წარმატებით შესრულდა. ყოველი ექსპედიციის დამთავრების შემდეგ ბ-ნი პეტერი სანთელს ანთებდა ქართულ ეკლესიაში. მას სწამდა, რომ ქართველი ხალხისათვის მეტად სასარგებლო საქმის შესრულებას ედგა სათავეში.

ერთობლივი მოღვაწეობით შეიქმნა ადამიანის საარსებო კულტურათა — მარცვლოვან, პარკოსან, ბოსტნის, სამკურნალო და ტექნიკურ მცენარეთა უმდიდრესი კოლექცია, მაღალღირებული გენოფონდი, ფართოდ აღიარებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია; მოსმენილია ერთობლივი მოხსენებები რესპუბლიკის, კავშირის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფორუმებზე.

მეტად დიდია შესრულებულ სამუშაოთა პრაქტიკული ღირებულება. საქართველოს ამ უნიკალური გენოფონდიდან ყოველწლიურად ხდებოდა ადგილობრივი პირობებისათვის საუკეთესო, მაღალი ღირსების მქონე ფორმების შერჩევა-გამოყოფა საქართველოში მათ დასანერგად. ეს ხომ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ხალხური სელექციის უნიკალური ჯიშებიდან მიღებული მასალაა, რომელიც დღეს სავსებით განდევნილია ჩვენი სოფლის მეურნეობიდან და თანდათან ქრება, თუმცა ის ჰაერივით სჭირდება ჩვენს რესპუბლიკას. ამიტომ, რაც საქართველოში მოვიპოვეთ და გამოვიკვლიეთ, უნდა დავიცვათ და მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ. ამისათვის ზრუნავენ დღეს ჩვენი გერმანელი კოლეგები, რომლებიც სიცოცხლის შენარჩუნების სრული გარანტიით, სათუთად იცავენ საქართველოს ამ ეროვნულ სიმდიდრეს თავიანთ გენეტიკურ ბანკში და ყოველმხრივ გვეხმარებიან, რომ შევძლოთ უახლოეს დროში საქართველოში თესლსაცავის აგება და ამ გენოფონდის გადმოტანა. ასევე ყოველწლიურად გვაწვდიან ისინი უძველესი ქართული ჯიშებიდან გამოვლენილ საუკეთესო მასალას ჩვენს რესპუბლიკაში დასანერგად; საამისო პირობები დღეს უკვე გვაქვს ტრადიციული მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის თანდათანობით აღდგენის წყალობით.

ათი წლის ერთობლივმა მუშაობამ ჩვენსა და გერმანელ კოლეგებს შორის მეტად მეგობრული, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის განწყობილება დაამკვიდრა. ჩვენს თანამშრომლებს ყველა პირობა აქვთ, რათა იმუშაონ ამ ინსტიტუტში დაცულ კულტურულ მცენარეთა მსოფლიო კოლექციაზე მათ თანამედროვე დონეზე აღჭურვილ ლაბორატორიებში და მდიდარ ბიბლიოთეკაში.

ბ-ნ პეტერის სახით საქართველომ გულწრფელი და მზრუნველი მეგობარი შეიძინა. ექსპედიციებში ყოფნის დროს ის ხშირად ესაუბრებოდა სოფლის მოსახლეობას, გლეხობას, სურდა მათი გულისწადილის გაგება. ისინიც დაუფარავად, ალალად სთხოვდნენ მას — როგორმე დაგვიბრუნეთ ის საუკეთესო ქართული ჯიშები, რომლითაც ქებული იყო საქართველო...

ბ-ნმა პეტერმა ჩინებულად შეასრულა თავისი პირობა: მან შეძლო ამ ჯიშების გაუმჯობესება და დასანერგად დაბრუნება.

დიდი მეცნიერი და მკვლევარი, საუცხოო ინტელიგენტი საოცრად შეყვარებულია საქართველოზე, შესანიშნავად იცნობს მის ისტორიას, ხელოვნებას, არქიტექტურას. როდესაც მან პირველად იხილა ნიკორწმინდა — დიდხანს მდუმარედ იდგა მის წინაშე და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოერკვა. მეორე წელს მან გ. ტაბიძის ლექსის — „ნიკორწმინდას“ გერმანული თარგმანი ჩამოიტანა. ხშირად უთქვამს: ქართული ენა იმდენად მუსიკალურია, რომ ამ ენაზე მოსაუბრეს მთელი დღე შემიძლია ვუსმინო, თუმცა მხოლოდ ცოტა რამ მესმისო. მან ჩინებულად ისწავლა კულტურულ მცენარეთა თითქმის ყველა ქართული სახელწოდება, კუთხურ დიალექტებშიც კი ერკვევა.

ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მან გახედა მთის კალთაზე ლამაზად შეფენილ სოფელს და თქვა — ნეტავ, ღმერთმა ისეთი ბედნიერი გამხადოს, რომ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ამ მთის სოფელში გავატაროო.

ახლახან ამ დიდ მეცნიერსა და სპეტაკ პიროვნებას 60 წელი შეუსრულდა. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ბატონო პეტერ ჰანელტ, გერმანელი და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

რუსუდან ბერიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის გენოფონდის ჯგუფის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაურსა სად...

ამერიკელი ქართველები — თვალის ერთი გადავლებით

1944 წლიდან ალექსანდრე მანველიშვილი კვლავ პარიზში დაბრუნდა. აქ იგი მორალურად და მატერიალურად ეხმარებოდა გერმანიიდან საფრანგეთში მოხვედრილ ქართველ ტყვეებს. შეადგინა მათთვის სახელმძღვანელოდ წიგნაკი „ქართულ-ფრანგული საუბრის თანამგზავრი" და როგორც ავტორი წერს, „ის მალევე დაიბეჭდა პარიზში 1944 წელს სულ შვიდი ათასი ცალი, მაგრამ მდგომარეობა ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ამ წიგნაკს აკინძვაც აღარ ეღირსა. ინგლის-ამერიკელები უკვე პარიზში იყვნენ. კარგა ხანი გავიდა და ომის შემდეგ, სტამბის დირექტორმა, რომელთანაც მეგობრულად ვიყავი, მითხრა: ამდენი ხანია თქვენს ხელნაწერს ვინახავთ, ან აკინძეთ და წაიღეთ, ანდა უნდა გადავყაროთ. გადასახადიც მეტად მცირე დამისახელა შექმნილი მდგომარეობის გამო. ეს ფული გადავუხადე, ასი ცალი ავაკინძინე და სხვები გადავყარე". ამ ასი ცალიდან გადარჩენილი ერთი უნიკალური ეგზემპლარი ბატონმა ალექსანდრემ მე მისახსოვრა...

ფაშისტური გერმანიის უკანასკნელი ძალები იწურებოდა... პარიზის კომენდანტმა, გენერალმა შოლტიცმა ჰიტლერის ბრძანება არ შეასრულა და ასაფეთქებლად მომზადებული პარიზი არ ააფეთქა. ამისთვის ფაშისტ გენერალს დახვრეტა მოელოდა, მაგრამ მას დროზე უშველეს საფრანგეთის დედაქალაქში შემოსულმა გენერალ დე გოლის და გენერალ ეიზენჰაუერის ჯარებმა.

ალ. მანველიშვილი იგონებს: „მოკავშირეთა ჯარები პარიზში სწორედ იმ კარებიდან შემოვიდა, სადაც მე ვცხოვრობდი და მთელ მოსახლეობასთან მეც ქუჩაში შევხვდი. აუწერელი იყო ფრანგების სიხარული. ყველა ერთმანეთს ჰკოცნიდა და სიხარულის ცრემლი იდგა ყველას თვალებზე. ჰკოცნიდნენ ჯარისკაცებს და ყვავილებით ამკობდნენ მათ ტანკებს. ოთხი წლის ტყვეობის შემდეგ ერი თავისუფლდებოდა და მეც, ქართველი ადამიანი, ამას გულციად როგორ დავხვდებოდი და მეც იმასვე განვიცდიდი, როდესაც მაგონდებოდა ჩემი სამშობლო, რომელიც უარეს მდგომარეობაში იყო.

ამნაირად, პარიზი გადარჩა დანგრევას. ეს უზარმაზარი ძეგლი, ნიმუში მსოფლიო სილამაზისა და ფრანგი ხალხის შრომითა და ოფლით ნაშენი მთელი ათას ხუთასი წლის განმავლობაში. ასე გადარჩა ცოფიანი ადამიანის შურისძიებას ეს ულამაზესი ქალაქი მსოფლიოსი"...

ფრანგები განთავისუფლდნენ, მაგრამ რა ბედი მოელოდა ქართულ ემიგრაციას, არავინ იცოდა, რადგან გერმანელები დამარცხდნენ, ხოლო რუსი კომუნისტების მდგომარეობა განმტკიცდა.

საბედნიეროდ, ქართველებს მშველელად გენერალი კოენიგი მოევლინა, რომელიც საიდუმლო შეიარაღებული ძალების უფროსად ითვლებოდა და მერე გენერალმა დე გოლმა სამხედრო მინისტრად დანიშნა. ის იყო მეგობარი პოლკოვნიკ ამილახვარისა, რომელიც გმირულად დაეცა აფრიკაში ფრანგების მხარეზე და მას თვით დე გოლი დიდად აფასებდა. აი, ამ გენერლის დახმარებით, ქართულ ემიგრაციას არაფერი ავნეს, მით უმეტეს, რომ კომუნისტებმაც შემრიგებლური გზა აირჩიეს და ემიგრანტებს ისიც გაუხსენეს, რომ ომის დროს ეხმარებოდნენ საბჭოთა ტყვეებს (ამის თაობაზე საბჭოთა ელჩს მადლობის ნიშნად პარიზში საგანგებო საჯარო მოხსენებაც კი წაუკითხავს ემიგრაციისთვის).

როგორც მალე გაირკვა, საბჭოთა დიპლომატიას თურმე საკუთარი ანგარიშები ჰქონდა, როცა ქართული ემიგრაციის გულის მოგებას და მასთან დასაკავშირებელ ხიდის გადებას ცდილობდა: ეს იყო, პირველ რიგში, 1921 წელს საქართველოდან მთავრობის მიერ წაღებული ეროვნული განძის დაბრუნება და მეორე, რაც არანაკლებ აღელვებდა კრემლს, — ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უკან ჩამოყვანა, რათა შემდეგ მათ სათითაოდ გასწორებოდა.

მართლაც, მოსკოვმა სულ მთლად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიაღწია საწადელს: 1945 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთიდან მომავალი ეროვნული განძით დატვირთული თვითმფრინავი მოხუცი ექვთიმე თაყაიშვილის თანხლებით თბილისის აეროპორტში დაფრინდა (ამაში, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა ემიგრანტული ქართული მთავრობის თანხმობამ!), ხოლო სტალინ-ბერიას უხვი დაპირებებით შემცდარი ზოგი ქართველი ემიგრანტი (მაგალითად, სამსონ ფირცხალავა, გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, მწერალი ნიკოლოზ ინასარიძე და სხვ.) სამშობლოში კი დაბრუნდა, მაგრამ მალე ციმბირისა თუ შუა აზიის ტრამალებისკენ უქნეს პირი და იქ ამოხდათ ტანჯული სული...

ალექსანდრე მანველიშვილი ამ ანკესს არ წამოეგო. იგი ვერ შეაცდინა თვით ნოე ჟორდანიას დეკლარაციამაც, რომელიც 1946 წლის 5 ოქტომბერს დაიწერა პარიზში და ერთგვარი მოწოდება იყო სამშობლოში დაბრუნებისკენ, მაგრამ ქართული ემიგრაციის უმრავლესობამ იგი არ მიიღო. ნ. ჟორდანიას ეს დეკლარაცია განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დავით ვაჩნაძემ და დავით სალირაშვილმა.

მომავალი
L'AVENIR organe de l'organisation des patriotes georgiens "THETHRI GUIORGUI"

ასე იყო თუ ისე, ამ ამბების შემდეგ ქართული ემიგრაცია ნელ-ნელა დაწყნარდა, ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას შეუდგა, დამსხვრეული იმედებისა და ილუზიების ტყვეობიდან დაიწყო განთავისუფლება, თეორიულად ეროვნულ საკითხსა და პატრიოტიზმში ყველა გაერთიანდა, მოხერხდა ჟურნალ „ამირანის" ერთი ნომრის გამოცემა, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. იდეურ-პოლიტიკურმა ინტერესებმა კვლავ წამოჰყო თავი და ომამდელი პარტიული ქიშპობა კვლავ განახლდა: ცალკე იდგა მენშევიკური ფრთა — ფაქტიურად ყოფილი ეროვნული მთავრობა და მისი ერთგული ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტია, თითქმის ყველა დანარჩენი ნაწილი ემიგრაციისა ოპოზიციას წარმოადგენდა.

გაერთიანება ისევ ნოე ჟორდანიამ სცადა, მაგრამ ვერც მთლად წარმატებით: ნაციონალისტების გარეშე სხვადასხვა პარტიული ჯგუფებიდან შეადგინეს „ეროვნული საბჭო", ხოლო ნაციონალისტებმა „ეროვნული ცენტრი" დაარსეს, რომლის საპატიო თავმჯდომარედ მოიწვიეს დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი მთავარსარდალი გენერალი გ. კვინიტაძე, ფაქტიურ თავმჯდომარედ რ. გაბაშვილი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად — ალ. მანველიშვილი. „ეროვნულმა საბჭომ" თავის ორგანოდ პარიზში 1952 წელს გამოსცა ჟურნალი „მებრძოლი საქართველო", ხოლო „ეროვნულმა ცენტრმა" — გაზეთი „საქართველოს დამოუკიდებლობა". ამ უკანასკნელში ალ. მანველიშვილმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა: „ორი ისტორიული თარიღი" (ჟამთა-აღმწერლის ფსევდონიმით), № 1; „ეროვნული ერთობის პრინციპი", № 1; „სამარცხვინო აქტი", № 2; „ჩვენ და რუსეთი", № 2; „ზოგი რამ ისტორიიდან", № 3.

...კვლავ მალე დაიწყო რღვევა: ფაქტიურად დაიშალა როგორც „ეროვნული საბჭო", ისე „ეროვნული ცენტრი". ყოველ შემთხვევაში, ალ. მანველიშვილმა პარტიული ნიადაგის მოშლის გამო „ეროვნული ცენტრი" მიატოვა, ხოლო „თეთრი გიორგის" ორგანიზაციას ნელ-ნელა აკლდებოდა მისი წამყვანი წევრები...

1953 წელს, როდესაც ალ. მანველიშვილმა „ეროვნული ცენტრი" დატოვა, მან პარიზში გამოსცა ჟურნალი „ერის დიდება". სულ 1953 წლის აპრილიდან 1958 წლის მაისამდე შვიდი ნომერი გამოვიდა. „ერის დიდება" არ იყო პარტიული ორგანო, იგი პოლიტიკასთან ერთად ქართული მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვნების საკითხებს აშუქებდა: „განსაკუთრებით მინდოდა საქართველოს ლიტერატურის ფართოდ გამოვხმაურებოდი. ამ მხრივ, ემიგრაციაში სრული სიცარიელე იყო და სწორედ ამ დროს დაიწყო ცოტაოდენი წიგნების მოსვლა საქართველოდან პარიზში. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ მთელ რიგ საკითხებს საქართველოში მიუდგომლად ვერ შეაფასებდნენ შექმნილი პირობების გამო. უცხოეთიდან უნდა გვეთქვა ის, რის თქმაც იქ ვერ შეეძლოთ. ჩვენ თავისუფალნი ვიყავით ყოველგვარი ცენზურისგან და უფრო მიუდგომლად შეგვეძლო ყველაფრის შეფასება" — წერს ალ. მანველიშვილი.

„ერის დიდება"-ში თანამშრომლობდნენ ელ. მაყაშვილი, ს. იანეთელი, ილ. ჯაბადარი, ექ. ი. ხოჭოლავა, ნ. დგებუაძე, ი. სენაკელი, ვახტ. ციციშვილი, რ. გაბაშვილი, გ. ნოზაძე, ვახ. ლამბაშიძე, შ. კალანდაძე, ვიქ. ნოზაძე, მაგრამ მთავარი ავტორი ჟურნალისა მაინც ალ. მანველიშვილი გახლდათ. აქ გამოქვეყნდა ისტორიულ-ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის შემდეგი მისი წერილები: „ერის დიდება", №№ 1, 2, 3, „ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიგა", № 3, „საქართველო და ირანოსმალეთი", № 4; „პიროვნება და საზოგადოება", № 4 და № 5; „ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძღვრება", № 5, „26 მაისი (როგორ მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება)", № 6; „ენა როგორც სოციალური ფაქტორი", № 6; ამათ გარდა, „ერის დიდების" მეხუთე-მეექვსე ნომრებში დაისტამბა ალ. მანველიშვილის მიერ დაწერილი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები ვ. ბერიძის, ც. გაბაშვილის, პ. გუგუშვილის, შ. რადიანის, ვ. ჯაფარიძის, მიქ. თარხნიშვილის, დ. ვაჩნაძის, კ. გამსახურდიას, აბ. კიკვაძის, დ. გვრიტიშვილის, დ. კაპანაძისა და რ. ორბელის წიგნებზე.

1954 წელს, ვახტანგ ციციშვილთან ერთად, ალ. მანველიშვილმა პარიზში დაარსა ფრანგული გაზეთი „L'Action Georgiene" („აქსიონ ჟეორჟიენ"), როგორც „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიგის" ორგანო. სულ 22 ნომერი გამოვიდა და მატერიალური ხელმოკლეობის გამო, მისი გამოცემა 1956 წლის იანვარში შეწყდა. „აქსიონ ჟეორჟიენს" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხო ენაზე ქართული საკითხის პროპაგანდისა და ფართო გავრცელებისათვის, ამიტომაც იყო, რომ მასში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ ალ. მანველიშვილის წერილებს პოლიტიკური და პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდათ. ესენია: „საქართველოს დამოუკიდებლობა", № 1; „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიგა", № 1; „ევგენი გეგეჭკორი", № 2; „ხალხის ციხე და დატყვევებული ხალხი", № 3; „ერის განთავისუფლებისკენ", № 4-5; „ირანი, თურქეთი და საქართველო", № 6; „ევროპის გაერთიანება", № 7; „საფრანგეთი და საქართველო", №№ 9, 10, 11; „საქართველოს დაპყრობის 34 წლისთავი", № 12; „ისტორიის მოსაბრუნი", № 14-15.

უცხოურად, გარდა ამ ფრანგული წერილებისა, ალ. მანველიშვილს გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები იტალიურ და ინგლისურ ენებზე: „რუსულ-ქართული ურთიერთობანი", ჟურნ. Fronte Unio რომი, 1938, „ქართული კულტურის სული", ჟურნ. „The Voice of free Georgia", ნიუ-იორკი, 1953, № 2.

გარდა საკუთარი პერიოდული ორგანოებისა, 50-იან წლებში ალ. მანველიშვილი სხვა ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდება. კერძოდ, იხილეთ მისი წერილები: „ძნელი ცხოვრებისა", ჟურნ. „ბედი ქართლისა" (რედ. კ. სალია), პარიზი, 1955, № 20; „გიორგი მერჩულე" (რეცენზია პ. ინგოროყვას წიგნისა), „კრებული" (რედ. გ. კობახიძე); ნიუ-იორკი, 1957; დიდი ილიას ხსოვნას, გაზ. „ქართული აზრი" (რედ. დ. სინჯიკელი), ნიუ-იორკი, 1957, № 14; „ბაღდადის პაქტი", „ქართული აზრი", 15; 1921 წელი, თებერვალი (სერგო ქავთარაძის წერილის გამო), „ქართული აზრი" № 22-23;



1958 წელს, ალ. მანველიშვილმა დატოვა ევროპა და ამერიკაში გადასახლდა. 26 აგვისტოს იგი უკვე ვაშინგტონში იყო. აქ დაიწყო მისი ახალი ცხოვრება — ჯერ იყო და 54 წლის ასაკში დაოჯახდა. შეირთო სტამბოლელი ქალი, რომლისგანაც ორი ვაჟი — პეტრე და პავლე შეეძინა, დღეს ისინი მოწიფული ვაჟკაცები არიან უმაღლესი ტექნიკური განათლებით და მოხუცი მამის გულს ახარებენ. ამერიკაში (ვაშინგტონი-სან-ფრანცისკო-არვადა) გააგრძელა ალ. მანველიშვილმა თავისი ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობა: ამერიკაში მან გამოაქვეყნა რამდენიმე სქელტანიანი წიგნი (ამის შესახებ ქვემოთ), ხოლო წერილებს კვლავ ევროპაში გზავნიდა და პარიზში გამომავალ ჟურნალებში „კავკასიონსა" (რედ. ვ. ნოზაძე, მისი სიკვდილის შემდეგ — გ. ყიფიანი) და „ივერიაში" (რედ. მიხ. ქავთარაძე) ბეჭდავდა.

ჯერ ჩამოვთვლით „კავკასიონში" გამოქვეყნებულ ალ. მანველიშვილის წერილებს: „ლაზარელა", გრიგოლ აბაშიძისა, № 9, 1964, „ვეფხისტყაოსნის", სერგო წულაძის ფრანგული თარგმანის შესახებ, № 11, 1966, „რუსთველიანას ეპილოგი" (რამდენიმე შენიშვნა პავლე ინგოროყვას გამოკვლევის შესახებ), 11, 1966, გამოხმაურება გიორგი ყიფიანის ლექსებზე, 12, 1967, რუსთველის სოციალური და პოლიტიკური დოქტრინა, № 12, 1967, მიხეილ თამარაშვილი (შ. ლომსაძის მონოგრაფია), № 12, 1967; დიდი წარსულის მემკვიდრეობა (თბილისის უნივერსიტეტის შესახებ), № 13, 1968, ილია ჭავჭავაძე (პ. რატიანის წიგნზე), № 14, 1970, ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში, № 14, 1970, ქართული ფილოსოფიის ისტორია შალვა ნუცუბიძის, № 15, 1971, წიგნები და ადამიანები (ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის" ღმრთისმეტყველების გამო), № 18, 1976, „ვეფხისტყაოსნის" დიალექტი, № 20, 1981, რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულება, № 21, 1986; პოლონეთის მწარე ბედი, № 21, 1986.

ახლა ჟურნალ „ივერიაში" ჩავიხედოთ: „რუსეთის ორიენტაცია", № 27, 1984, „სოლჟენიცინის მთავარი გაკვეთილი", № 27, 1984, „აფხაზეთის გარშემო", № 28, 1985, „ბრძოლა თავისუფლებისათვის", № 29, 1986, „საქართველოს დიდი მკვლევარი" (პროფესორი დევიდ მარშალ ლანგი), № 31, 1987, „ჩემი მოგონებიდან", № 34, 1990.


ALEXANDRE MANVELICHVILI

SCIOTHA RUSTHAVELI
E
il suo poema di VEPKHIS-TQAOSSANI.
(L'uomo vestito colla pelle di tigre)

1937

ერთი წერილი „მასალები ძველ საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის შესახებ", ალ. მანველიშვილს პარიზში გამომავალ ჟურნალ „მხედარში" ჰქონდა დაბეჭდილი.

წერილთა მხოლოდ სათაურების ასეთი უბრალო ჩამოთვლიდანაც აშკარაა, თუ რაოდენ ვრცელი და ღრმაა ალექსანდრე მანველიშვილის ინტერესთა სფერო, რა მასშტაბურია მისი ცოდნისა და კულტურის თვალსაწიერი. ამას დაუმატეთ წლების განმავლობაში მისი მოღვაწეობა რადიოსადგურებში — „კავკასიონი", „თავისუფლება" და „ამერიკის ხმა", გადაცემით მათთვის დაწერილ და გადაცემულ ალ. მანველიშვილის ხელნაწერებს (სულ 217 სკრიპტი, რომელიც ერთ სქელტანიან ტომად აკინძული ავტორმა მისახსოვრა) და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება ამ ადამიანის ტიტანურ შრომასა და ენერგიაზე (ალ. მანველიშვილის რადიოგადაცემებიდან დავასახელებთ ზოგიერთს: იაკობ გოგებაშვილი; სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა ამერიკასა და საქართველოში; ამერიკელი მეცნიერები საქართველოზე; ქართველები ამერიკაში; გალაკტიონ ტაბიძე, კომპარტიის დირექტივები ქართული მწერლობისადმი; როგორ ასწავლიან ისტორიას საქართველოში; მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში; საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა; პასტერნაკის გარშემო; მოსკოვის თავდასხმა საქართველოზე 1921 წელს; ოთარ ჩხეიძის მოთხრობა „მეჩეჩი").


ერის დიდება
პერიოდული. ხელოვნება. მეცნიერება. პოლიტიკა
GRANDEUR DE LA NATION
PERIODIQUE. L'ART. LA SCIENCE. LA POLITIQUE.
იანვარი ... JANVIER
პარიზი ... PARIS

მაგრამ მაინც ყველაზე მთავარი, რასაც ალექსანდრე მანველიშვილი უტოვებს მშობელ ქართველ ერს, ეს მისი წიგნებია, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტამბოლში, პარიზსა და სან-ფრანცისკოში:

1. ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია, სტამბოლი, 1933;
2. დაღესტნის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, პარიზი, 1933;
3. საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938;
4. სოციალური საკითხები, პარიზი, 1944;
5. ქართულ-ფრანგული საუბრის თანამგზავრი. პარიზი, 1944;
6. რუსეთი და საქართველო, პარიზი, 1951;
7. Histoire de la Georgie, Paris, 1951.
8. ქრისტიანობა საქართველოში, პარიზი, 1954;
9. საკუთრება. მიწის საკითხი საქართველოში, პარიზი, 1956.
10. ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია, პარიზი, 1955;
11. რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984;
12. ძველი ქართული მწერლობა, სან-ფრანცისკო, 1987;
13. ოქროს ხანა ქართველი ერის ისტორიისა, სან-ფრანცისკო, 1989;
14. ნარკვევები და წერილები, სან-ფრანცისკო, 1990;
15. კორპორატიზმი, სან-ფრანცისკო, 1990;
16. შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი", 1937 (იტალიურ ენაზე, ხელნაწერი).

ამ წიგნთა უმრავლესობის შესახებ, შედარებით ვრცლად უკვე ვისაუბრეთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში", ამა წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში და მკითხველს თავს აქ აღარ შევაწყენთ გამეორებით. ამას გარდა, მას შემდეგ ჟურნალ „ქართული მწერლობის" მე-6 ნომერში გამოქვეყნდა აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის რეცენზია „შენიშვნები უცხოეთში გამოცემულ ორ ახალ საყურადღებო ნაშრომზე", რომელშიც პროფესიული სიღრმითაა შეფასებული ალ. მანველიშვილის წიგნები „ძველი ქართული მწერლობა" და „ოქროს ხანა", ხოლო პროფესორ გაიოზ იმედაშვილს თავის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში" (თბ., 1957), მოცემული აქვს ვრცელი ანოტაცია-დახასიათება ალ. მანველიშვილის ნაშრომისა „ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია".

ასე თანდათან შემოდის, მკვიდრდება და მშობლიურ მეცნიერებას და კულტურას უბრუნდება ალექსანდრე მანველიშვილის მდიდარი შემოქმედება. აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ ადრე ნათქვამი:

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ალექსანდრე მანველიშვილის წიგნების მაგივრობას ვერავითარი ანოტაციები და მიმოხილვები (რაც არ უნდა ვრცელი იყოს იგი!) ვერ გასწევს.

ვფიქრობთ, უკვე დადგა დრო ქართველმა ხალხმა დაიბრუნოს საუკუნეს მიტანებული თავისი ერთი საუკეთესო შვილის სახელი, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა და თუ ავტორის ნებართვა იქნება, გამოვცეთ იგი საქართველოში, რომ ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველასათვის.

ალექსანდრე მანველიშვილი ღირსია სამშობლოს მხრიდან სიცოცხლეში აღიარებისა და სათანადო დაფასებისა.

...რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა კოლორადოში სტუმრობისას ბატონმა ალექსანდრემ ჩემს სახელზე გამზადებული მინდობილობა დამახვედრა, რომლის ძალითაც საქართველოში მისი ნაწერების გამოცემას მე მაკისრებდა...

გურამ შარაძე

(გაგრძელება იქნება).

• • •

სურათებზე: ალექსანდრე მანველიშვილი, მილანი, 1951; ალექსანდრე მანველიშვილის წიგნები და მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალ-გაზეთები.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნისტი", 1990, №№ 287-288, 248, 259.

ფიქრი

მიწა

მრავალჭირნახულმა საქართველომ, ათასი ჯურის დამპყრობლისა თუ მომხდურისაგან რომ დაუცავს თავი, მრავალგზის მკვდრეთით რომ აღმდგარა, დღევანდლამდე რომ მოიტანა ენა, მამული, სარწმუნოება, — ამას მიაღწია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, მამაპაპათაგან გადმოცემული, საუკუნეობით გამომუშავებული ადათ-წესის დაცვით, ზნეობრივი მრწამსის, რაინდობის, ვაჟკაცობისა და ამაღლებული სულის შენარჩუნებით.

და მაინც, ყოველივე ზემოჩამოთვლილი დღესაც თუ შემოგვრჩენია — ეს შრომით არის გამომუშავებული და თაობების მიერ რუდუნებით დღევანდლამდე მოტანილი.

დიახ, თავდადებული შრომა, მიწის სიყვარული, ბუნებით მომადლებული სიმდიდრისა თუ სილამაზის მიმართ მოკრძალება მუდამ ახასიათებდა ქართველ კაცს.

ახლა, ქალის შრომის ნაყოფს გადავხედოთ, — ფარდაგებს, ჭილოფებს, კერამიკულ ნაწარმს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შვილის აღზრდის წესს. ქართველი დედის დიდი ღვაწლია, თაობიდან თაობაზე რომ გადადიოდა „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად ცოდნა, ოქრომკედით ქარგვის ოსტატობა, ლეგენდებისა და თქმულებების გადაცემა შთამომავლობისათვის, ენის, სარწმუნოების, მამულის ერთგულება.

ყველაფერი ეს კი უდიდეს შრომას მოითხოვდა ქართველი დედისაგან.

როცა მტერი ქვეყანას ოთხივ მხრიდან დაპყრობით თუ დარბევითა და აოხრებით ემუქრებოდა, ან უარესი, როცა დაპყრობილი და აწიოკებული იყო ურჯულოთაგან, ქართველი გლეხი ზურგზე თოფგადაკიდებული, ღამით, ფარულად ხნავდა და თესავდა, ამრავლებდა ხეხილს, აშენებდა ტყეს, რომ შთამომავლობას მისი შრომალი არ მოჰკლებოდა, სოფელს საშენი მასალა ჰქონოდა.

ასე იყო ოდითგან...

დღეს კი...

ჯერ იყო და, ამოვაშრეთ თუ არა კოლხეთის დაბლობი, უმალვე ჩაის კულტურის მოშენებას მივყავით ხელი. ისე მოვდეთ ჩაის ბუჩქი კიდით-კიდეს—აჭარას, აფხაზეთს, სამეგრელოს, იმერეთს, რომ გლეხს შინაური ცხოველისათვის ლამის ხელისგულისოდენა საძოვარიც არ დავუტოვეთ. სიმინდისა და ლობიოს დასათესი ადგილიც შევუკვეცეთ, არადა, გაგონილა, ამ მხარის გლეხს მჭადის ფქვილი და ლობიო საყიდელი ჰქონდეს?

ზვრებსაც არ დაადგათ კარგი დღე. აქაოდა, ადესა არხეინად გრძნობდა თავს ხეზე ახვეული, მივუშვით ხეებზე და ვინ იცის, ვაზისადმი გულგრილობის გამო, რამდენი უძველესი ჯიში გადავაშენეთ. სამწუხაროდ, ეს გულდასაწყვეტი დამოკიდებულება რაჭის საქვეყნოდ ცნობილ ვაზის ჯიშებსაც არ ასცდა. თუმცა იქ „ალექსანდრეულმა" და „ჭვანჭკარამ" უფრო იმიტომ იკლო, რომ ვაზს მომვლელი შემოაკლდა, ქალაქს მოაშურეს იქაურებმა და აკი ამიტომაც სანატრელი გახდა ამ უძვირფასესი ჯიშის ყურძნის ღვინო.

რა ჯიში არ ითესებოდა მაშინ, მათ შორის სუფთა ქართული. ახლა, შესამჩნევად შემცირდა პურეულის ნათესები, ალბათ იმიტომ, რომ ისევ და ისევ შეთხელდა სოფლის მოსახლეობა. სადაც, სულ ცოტა ხნის წინათ მოქმედებდა გლეხის ძლიერი მარჯვენა და მაშასადამე სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიმრავლეც იყო, ჩაქრა ცხოვრება, მოხუცების ამარა დარჩა სოფელი და აბა, რომელ სიუხვეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ვინც დარჩა, თავისი გამოსაკვები სარჩოც ვერ მოჰყავს.

ახლა მხოლოდ საზაფხულოდ ამოდიან გუშინდელი მკვიდრნი, სანოვაგე ქალაქიდან ამოაქვთ, სათაკილოდ გაუხდია თოხის და ბარის ხელში აღება. არადა, მახსოვს, მარცვლეულით სავსე ტომრებს შინ მოზიდავდნენ, დააბინავებდნენ, შაბათობით გაახურებდნენ თონეებს და მოეფინებოდა მადლიანი ქართული პურის სურნელი მთელ სოფელს. იწყებოდა ახალი საზრუნავი — ხეხილის ჩამოკრეფა, ბოსტნეულის საზამთროდ შემონახვა, სიმინდის ტეხვა, კაკლის ბერტყვა... გლეხს თავისი ნაშრომი ემაყებოდა, თავის სარჩოს ცალკე ინახავდა და ქალაქში ჩასატანად და გასაყიდადაც საკმაო ჰქონდა. ბარაქიანი ჭირნახულით სავსე იყო ბაზრის დახლები, ფასიც ყველასათვის ხელმისაწვდომი ჩანდა. კმაყოფილი იყო გლეხი და არც ქალაქელს ეთქმოდა საძრახისი.

დღეს სოფელში სანთლით საძებარია ქალი, რომელმაც თონეში პურის ჩაკვრა და ნაზუქის ცხობა იცის. სოფელში გაჩნდა ფურნე, ან ქალაქიდან ამოაქვთ პური, ვინ შეიწუხებს თავს, რომ გახურებულ თონეში ჩაეკიდოს?

სანთლით საძებარია სოფელში ხეხილის მცნობელიც. ამის გამო გადაშენების გზაზეა კარგი ჯიშის ალუბალი, ხართუთა, გარგარი, ღორჯლიავა, დამასხი, გაიპარა, მსხლის, ვაშლისა და ატმის შესანიშნავი ჯიშები. ამიტომ ხომ არ არის, რომ ძირითადად ერთფეროვანია ასარჩევი ხილი, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში. ყველაფერი კი იმის შედეგია რომ გაჰქრა ინტერესი და სიყვარული ჩვენი მადლიანი მიწის მიმართ.

არც მთას დაადგა სიკეთე. ძალისძალით ჩამოასახლეს მთის მაცხოვრებლები ბარში, დააცარიელეს მთა. დაშრა წყაროები, ლამის ყამირად გადაიქცა საძოვრები და ხორცის, კარაქის, ერბოს, ყველის მომწოდებელი მხარე, დადუმდა, გაუკაცრიელდა, დაობლდა კარგა ხნით. მერე კი, როცა მივხვდით შეცდომას, ლამის ყიჟინით ცა და მიწა დავაყრუეთ, თითო-ოროლა ოჯახი რომ ამობრუნდა მიტოვებულ სოფელში, — ვაშა, მთას დაუბრუნდა მთიელი! ალბათ, რამდენი წელია საჭირო, რომ მთამ ჩვენკენ იბრუნოს პირი, ახალგაზრდებმა ისწავლონ ცელის მარჯვედ გასმა, სათიბებს ჩამოუარონ, პირუტყვისათვის საკვები ჩამოზიდონ, დიაცებმა მწველავის გამოცდილება შეიძინონ, და მამაპაპური ფარდაგების ქსოვას დაეუფლონ...

აუხირდნენ კახელებს, ალკოჰოლის საწინააღმდეგო კანონი ძალაში შევიდა, ღვინო არ დაგვანახოთო. ღვინო კი ვაზის ნაშობია და მაშ რისთვის ეჯახირა გლეხს ზვარში? მიადგა და შვილივით ნაზარდი ვენახი გაჩეხა, გაავერანა, მაგრამ გულმა არ გაუძლო, მიწა ვერ მოაცდინა და ყოფილ ზვრებში საზამთრო და ნესვი დათესა. რაკი დათესა, მოსული ნაყოფით გაგრიალდა ქალაქსა თუ კურორტებზე და თვითონაც გაუკვირდა, არცთუ დიდად ნაოფლარი საზამთროთი ჯიბე რომ გაისქელა. მაგრამ, ვაი რომ, ზოგი არ დაფიქრებულა, ისე უსიტყვოდ დაემორჩილა იმ ბრძანებას, მომავალ თაობას რა პასუხს გასცემს, ოდითგან ეს ვაზის ქვეყანა საბოსტნეს რომ დაამგვანა და ამით გააჩანაგა მრავალი ჯიში, იმ ქვეყნისა, რომლის სალოცავი ჯვარი ვაზის რტოსაგან ჩამოქნა საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელმა წმინდა ნინომ.

არა, არ გვეპატიება უბრად ყოფნა მიწასთან, ჩვენ მარჩენალთან. რაღაც შეგვეშალა, ძალიან შეგვეშალა და ამას დროზე თუ არ მივხედეთ, ხელის გაშვერა მოგვიხდება და მერე ვის? უმდიდრესი, ბარაქიანი და მადლიანი მიწის შვილებს!

რაკილა კარგა ხანია მოვადუნეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, ნელნელა, თანდათანობით მოიშალა, მოინგრა თითქმის ყველა სასიცოცხლო სფერო სოფლად თუ ქალაქად. და მაინც სოფლად უფრო, რაკილა სოფლითაა ქვეყანა ღონიერი, სოფელია ჩვენი მასაზრდოებელი. ჩვენი ბაზრის დახლებზე გვეტყობა, რა დღეში ჩავვარდით, ცეცხლი უკიდია იქაურობას, პარპაშობენ ქორვაჭრები და ხმაც ვერ გაგვიცია იმის შიშით, რომ მშივრები არ დავრჩეთ.

აი, რა დღეში ჩაგვაგდო სოფლის დაცარიელებამ!

მაგრამ, თუ გამორბის იქიდან ახალგაზრდობა, სოფლის მეურნეობის ეს დასაყრდენი ძალა, ვიყოთ გულახდილნი, ეს მათდამი უყურადღებობის შედეგიც არის. აბა გახედეთ ევროპის, თუნდაც ბალტიისპირეთის სოფლებს. რა კარგი პირობები აქვთ შექმნილი, ისეთ სოფელში ცხოვრებაც და მუშაობაც სახალისოა. ცათამბჯენები არავის სჭირდება, მაგრამ უნდა ძირეულად გარდაიქმნას სამუშაო და საცხოვრებელი პირობები. ადგილობრივი თუ ჩასული სპეციალისტებისათვის.

ისე ნუ გამიგებს მკითხველი, თითქოს სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებად ვაპირებდე ადამიანების დაყოფას. იმას კი დავძენ, სოფლის დაცარიელება თუ დიდი ცოდვაა, არც ის არის მოსაწონი, ჩვენი ქალაქები თავკომბალებად გადავაქციოთ, დავუკარგოთ ქალაქის დამახასიათებელი შნო და ლაზათი. უკვე რამდენი წელია, ვტრაბახობთ, რომ მილიონნახევრიანია ჩვენი დედაქალაქი, არადა, გულში ხომ განვიცდით, უკიდეგანო სოფელს რომ დავამგვანეთ თბილისი თავისი ახალი რაიონებით, სადაც ადამიანებს ხშირად არც წყალი აქვთ, არც სინათლე...

...მიწა მგრძნობიარეა. მან გმინვაც იცის, როცა უჭირს, და ლაღად სუნთქვაც. ის გულუხვია მათ მიმართ ვის ძლიერ, საქმიან ხელსაც გრძნობს, ვისი შრომის ოფლითაც იჟღინთება და ნუ მოვანატრებთ მას ხელის მადლს.

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მიწამ, ბუნებამ, უდიერი მოპყრობის საპასუხოდ, შურისგებაც იცის. გვახსოვდეს ეს!

ნუ დავკარგავთ ძველ ჩვევას, გვიყვარდეს შრომა და ვემსახუროთ სიყვარულით ჩვენს ბარაქიან, მარჩენალ მიწას.

ნანა კანდელაკი

საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, კინოსტუდია „ქართული ფილმი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ქართველი კინორეჟისორის

ქართლოს ხოტივარის

გარდაცვალების გამო.

ტელევიზია

თბილისი

29 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 11.45 მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი". 13.00 ნაშუადღევს. 13.50 ათლეტიზმი. 16.00 საინფორმაციო გამოშვება. 16.10 მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.35 მოსწავლეთათვის. კონცერტი ანსამბლისა „რია რია". 17.20 მუსიკალური შეხვედრები „ერთი დღე კარდენახში". 18.05 ხელოვნების ლექტორიუმი. 18.35 „მრავალსახეობა ეკრანისა" (ნაწილი პირველი). 20.00 მოამბე. 20.40 ძილისპირული. 20.55 განცხადებები. 21.00 „ვრემია". 21.40 „მრავალსახეობა ეკრანისა" (ნაწილი მეორე). 23.20 „იტალია-90". გადაცემა პირველი (გამეორება).

მეორე პროგრამა. 14.05 ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 15.30 მხატვრული ფილმი „უბედური შემთხვევა". 17.00 მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.45 ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ბზიანეთი", „კაცები", „გასეირნება" და „შნო". 18.55 მხატვრული ფილმი „ნუ დათხოვდებით, გოგოებო!". 20.00 მოამბე. 20.40 ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე".

მოსკოვი

29 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 10.00 — კონცერტი. 10.30 — [illegible]. 11.30 — [illegible]. 12.00 — „პარტნიორი". 12.30 — „ვრემია". 17.15 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 17.30 — [illegible]. 18.30 — „ვრემია". 19.00 — რუსეთის საპარლამენტო მოამბე. 19.15 — [illegible]. 21.00 — „ვრემია". 21.40 — „რა? სად? როდის?". [illegible] 23.10 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 23.35 — [illegible] ჩემპიონატი [illegible].

მეორე პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. 8.15 — მულტფილმი. 8.35 — დოკუმენტური ფილმი. 9.15 — [illegible]. 10.05 — [illegible]. 10.45 — კონცერტი. 11.10 — ფილმი [illegible]. 12.20 — [illegible]. 12.25 — [illegible]. 12.55 — [illegible]. 13.40 — [illegible]. 17.00 — [illegible]. 18.30 — „ვრემია". 19.00 — მულტფილმი. 19.30 — მუსიკალური პროგრამა [illegible]. 19.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 20.00 — [illegible].

მთავარი რედაქტორი მამუკა ფახუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომპლექსში, ხოშარაულის ქ. № 29.
X|
ინდექსი 66484.

საქართველოს რესპუბლიკა